თეთრი წიგნი

2014

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

სარჩევი

შესავალი 1

1. უსაფრთხოების გარემო 2

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები 4

2.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 4

2.2. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი 4

2.3. საქართველოს შეიარაღებული ძალები 6

3. თავდაცვის დაგეგმვა და მართვა 9

3.1. საკანონმდებლო ბაზა 9

3.2. კონცეპტუალური ჩარჩო 9

3.3. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი 11

3.4. თავდაცვის რესურსების მართვა 13

3.4.1. მატერიალური რესურსების მართვა 13

3.4.2. ფინანსური რესურსების მართვა 13

3.4.3. ადამიანური რესურსების მართვა 13

4. 2014 წლის ძირითადი პრიორიტეტები 15

5. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება 16

5.1. კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა 16

5.2. საპარლამენტო ზედამხედველობის განმტკიცება 16

5.3. შესყიდვების გამჭვირვალობა 17

5.4. არასამთავრობო სექტორის ჩართულობა 18

5.5. სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ინფორმირების ამაღლება 19

5.6. საჯარო ინფორმაციის გაცემა 20

5.7. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია 21

6. თავდაცვის შესაძლებლობები 22

6.1. მართვა და კონტროლი 22

6.2. წოდებრივი ანაზღაურების სიტემაზე გადასვლა 22

6.3. სამხედრო დაზვერვა 22
6.4. სპეციალური ოპერაციების ძალები 23
6.5. მობილურობა და კონტრმობილურობა 23
6.6. საჰაერო თავდაცვა 23
6.7. საზღვაო თავდაცვა 24
6.8. კავშირგაბმულობა და ინფორმაციული სისტემები 24
6.9. ლოგისტიკური უზრუნველყოფა 24
6.10. სამხედრო ინფრასტრუქტურა 24
6.11. სამხედრო ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება 25
6.12. რეზერვისა და მობილიზაციის სისტემა 25
7. ადამიანური რესურსების მართვა 27
7.1. ადამიანური რესურსების მართვა 27
7.2. თანამშრომელთა რეკრუტირების სისტემის დახვეწა 27
7.3. სამხედრო მოსამსახურეთა მართვის სისტემის გაუმჯობესება 28
7.4. გენდერული თანასწორობა 29
8. დოქტრინები, წვრთნა და განათლება 31
8.1. დოქტრინები და სახელმძღვანელოები 31
8.2. წვრთნები და სამხედრო განათლება 31
8.3. დაწყებითი სამხედრო მომზადება 34
8.4. უმაღლესი სამოქალაქო და საწყისი სამხედრო განათლება 35
8.4.1. უმცროს ოფიცერთა სკოლა 38
8.4.2. კაპიტნის საკარიერო სკოლა 38
8.4.3. ავიაციის და საჰაერო თავდაცვის ოფიცერთა ძირითადი მომზადების სკოლა 39
8.4.4. სამეთაურო-საშტაბო სკოლა 39
8.4.5. ენობრივი მომზადების სკოლა 40
8.4.6. ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა 40
8.4.7. პროფესიული განვითარების ცენტრი 41
8.4.8. მონაწილეობა საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამებში 42

9. სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფა 43
9.1. ფინანსური მხარდაჭერა 43
9.2. საცხოვრებელი პირობები 43
9.3. სამხედრო მოსამსახურეთა კვება 44
9.4. დაჭრილ მეომრებზე ზრუნვა 44
9.5. ჯანმრთელობის დაცვა 45
10. 2014 წლის ფინანსური ანგარიში 46
11. ინსტიტუციური ცვლილებები 49
11.1. კანონმდებლობა 49
11.2. კიბერუსაფრთხოება 50
11.3. თავდაცვის მატერიალური რესურსების მართვა 51
11.4. შიდა აუდიტი 52
11.5. გენერალური ინსპექცია 52
11.6. ინფორმაციული ტექნოლოგიები 53
11.7. უწყებათშორისი თანამშრომლობა 53
12. საერთაშორისო თანამშრომლობა 55
12.1. თანამშრომლობა ნატოსთან 55
12.1.1. ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატები 56
12.1.2. ნატოს ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში მონაწილეობა 58
12.1.3. ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის გაცვლა და დაცვა 58
12.2. თანამშრომლობა ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან 60
12.2.1. თანამშრომლობა ევროკავშირთან 60
12.2.2. CSDP-ის ფარგლებში კრიზისების მართვის ოპერაციებში მონაწილეობა 61
12.2.3. თანამშრომლობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან 61
12.3. ორმხრივი ურთიერთობები 62
12.4. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები საზღვარგარეთ 64
12.5. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები 65
13. მიღებული გამოცდილება 66
13.1. ნატოს არსებითი პაკეტი 66

13.2. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლება 66

13.3. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში 67

13.4. გენდერული თანასწორობის განმტკიცება 67

13.5. წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლა 68

13.6. პროგრამული სტრუქტურა 68

13.7. სირთულეები და გამოწვევები 68

14. სამომავლო ხედვა 69

დასკვნა 71

შესავალი

„თეთრი წიგნი 2014“ წარმოადგენს სამინისტროს წლიური საქმიანობის ანგარიშს, რომელიც ეფუძნება თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტში მოცემულ რეკომენდაციებისა და წინადადებებს. დოკუმენტში დეტალურად ასახულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული აქტივობები, თავდაცვის შესაძლებლობები, ინსტიტუციური რეფორმები, ნატოსთან თავსებადობისა და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისკენ მიმართული ნაბიჯები. მასში აგრეთვე მიმოხილულია ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი საფრთხეები და გამოწვევები; აგრეთვე, საქართველოს შეიარაღებული ძალების დანიშნულება, სტრუქტურა, თავდაცვის რესურსების მართვის საკითხები, არსებული სამართლებრივი და კონცეპტუალური ჩარჩოები. დოკუმენტი შეიცავს განხორციელებული საქმიანობის შეფასებას, განვითარების სამომავლო ხედვასა და დასკვნას.

წლიურ საქმიანობის ანგარიშის გამოქვეყნებით თავდაცვის სამინისტრო ასრულებს მის ორ ფუნდამენტურ ვალდებულებას: საზოგადოების წინაშე რეგულარული ანგარიშგება და რესურსების მიზნობრივი ხარჯვა. „თეთრი წიგნი 2014“ დაეხმარება მოქალაქეებს ნათლად დაინახონ თუ რა კეთდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, როგორ მიდის საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროცესი და რა მომავლის გეგმებია შემუშავებული.

1. უსაფრთხოების გარემო

საქართველოს განვითარება რეგიონსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით ხდება. მასზე გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოების გარემო, რომელსაც კომპლექსური ხასიათი აქვს.

საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილია და მისი უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაა. ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია შექმნის ეროვნული უსაფრთხოებისა და განვითარების მყარ გარანტიებს, ხელს შეუწყობს მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის განმტკიცებას.

საქართველოს უსაფრთხოების დაგეგმვა წარმოებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების ერთობლივი ძალისხმევით, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, აგრეთვე ეროვნული უშიშროების საბჭოს აქტიური მონაწილეობით. პროცესი იწყება ქვეყნის ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების წარმოჩენით და ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეების ყოვლისმომცველი შეფასებით. საქართველოს ეროვნული ღირებულებები, ინტერესები და მის წინაშე მდგარი საფრთხეები ასახულია „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა“ და „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010–2013 წწ. დოკუმენტში“.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ და რუსეთის საოკუპაციო ჯარებისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გარემო.

ამასთანავე, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული არასტაბილურობა, მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი და უკრაინაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები უარყოფით გავლენას ახდენს როგორც რეგიონის, ისე საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე.

საქართველოს წინაშე მდგარი ძირითადი საფრთხეები და გამოწვევებია:

- **ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია და სამხედრო აგრესიის განახლების ალბათობა** – რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით დარღვეულია ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ინტეგრირების მცდელობა, ამ ტერიტორიებზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების არარსებობა და მათი მილიტარიზაცია ზრდის პროვოკაციებისა და სამხედრო აგრესიის განახლების რისკს.

- **რეგიონული არასტაბილურობა** – კავკასიასა და უკრაინაში არსებული კონფლიქტები უარყოფით გავლენას ახდენენ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. აღნიშნული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება საქართველოს ინტერესებშიც შედის.

- **ტრანსნაციონალური საფრთხეები** – საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, აგრეთვე კავკასიასა და ახლო-აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტები ხელსაყრელ გარემოს ქმნის საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისთვის.

- **კიბერსაფრთხეები** – კიბერშეტევები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას. 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის პარალელურად, საქართველოს კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემებზე განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა კიბერშეტევებმა, ნათლად აჩვენა აღნიშნული მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელობა.

- **ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები** – საქართველო მდებარეობს სეისმურად აქტიურ ზონაში, რაც ზრდის ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების რისკს და შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს. შესაბამისად, მსგავსი კატასტროფების დროს, საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა იყვნენ მზად, კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩინონ დახმარება ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს კრიზისულ სიტუაციაზე რეაგირების კუთხით და საჭიროებისას მიიღონ მონაწილეობა მავნე შედეგების ლიკვიდაციაში.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები

2.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს თავდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას. თავდაცვის სამინისტროს უშუალოდ ხელმძღვანელობს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე. სამინისტროს დანიშნულებაა საქართველოს შეიარაღებული ძალების (სშძ) განვითარება და ტრანსფორმაცია, მუდმივი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა, ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება და ქვეყნის დამოუკიდებლობის ნებისმიერი ხელყოფისა და შესაძლო აგრესიის მოგერიება.



ფიგურა 2.1: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურა 2014 წ. მდგომარეობით

2.2. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ-ოპერატიულ მართვასა და კონტროლს. გენერალური შტაბის ძირითადი ფუნქციებია: საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფა, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების აღსრულება, არსებული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სამხედრო საფრთხეების განსაზღვრაში მონაწილეობა, შეიარაღებული

ძალების სტრუქტურული ოპტიმიზაცია, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად სამხედრო თანამშრომლობის განხორციელება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს ხელმძღვანელობს გენერალური შტაბის უფროსი. გენერალური შტაბის უფროსი ანგარიშვალდებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინაშე. მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. გენერალური შტაბის უფროსი არის საქართველოს პრეზიდენტის მთავარი სამხედრო მრჩეველი და თანამდებობაზე ინიშნება სამი წლის ვადით.

გენერალური შტაბის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და ორი მოადგილე, რომლებიც თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლებში ეხმარებიან გენერალური შტაბის უფროსს მასზედ დაკისრებული ამოცანების შესრულებაში. მათ, გენერალური შტაბის უფროსის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

2013 წლის ბოლოს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი რეორგანიზაციის შედეგად გადაკეთდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბად. გენერალური შტაბის შემადგენლობაში შედიან შემდეგი **ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფები:**

- **J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი** - ახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის, მათ შორის, სამოქალაქო მოსამსახურეთა, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეთა საკადრო უზრუნველყოფას. ასევე, დეპარტამენტი შეიმუშავებს საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების სტრუქტურებისა და საშტატო ნუსხების პროექტებს, მონაწილეობს სამხედრო ძალების რეზერვის მობილიზაციის სისტემის მართვისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვაში.

- **J-2 დაზვერვის დეპარტამენტი** - ახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების სადაზვერვო-საინფორმაციო უზრუნველყოფას, მასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვას, კოორდინაციასა და უსაფრთხოების ორგანიზებას.

- **J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტი** - უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. ამისათვის დეპარტამენტი ახორციელებს სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას, უზრუნველყოფს სწავლებების დაგეგმვასა და ჩატარებას და განსაზღვრავს საინფორმაციო ოპერაციების სტრატეგიას.

- **J-4/8 ლოგისტიკისა და რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტი** - ახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფისა და რესურსების განაწილების გეგმების შემუშავებას.

- **J-5/9 სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის დეპარტამენტი** - თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტების საფუძველზე, ახორციელებს სამხედრო პოლიტიკის დაგეგმვას. დეპარტამენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისთან ერთად, კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობას, შეიმუშავებს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამომავლო სტრუქტურასა და მისი განვითარების კონცეფციებს, განსაზღვრავს სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების სტრატეგიას.

- **J-6 - კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი** - გეგმავს და კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემებით ახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვისა და კონტროლის სისტემის მხარდაჭერის ორგანიზებასა და კოორდინაციას. დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ზემოაღნიშნული სისტემების დანერგვა და მათი შემდგომი განვითარება.

- **J-7 - სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი** - განსაზღვრავს სამხედრო განათლებასა და საბრძოლო მომზადების ძირითად მიმართულებებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, აყალიბებს გამოცდილების გაზიარების სისტემას და კოორდინაციას უწევს შესაბამისი დოქტრინების შემუშავებას.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან (იხილეთ ფიგურა 2.2):



ფიგურა 2.2: გენერალური შტაბის სტრუქტურა 2014 წ. მდგომარეობით

2.3. საქართველოს შეიარაღებული ძალები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარ მიზანს ქვეყნის შეიარაღებული ძალების პროფესიულ, სათანადოდ აღჭურვილ შეიარაღებულ ძალებად ჩამოყალიბება წარმოადგენს. თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში სათანადო ყურადღება ეთმობა არამხოლოდ

თავდაცვითი შესაძლებლობების ეტაპობრივ გაძლიერებას, არამედ პირველ ყოვლისა სამხედრო მოსამსახურეებისთვის მსახურების ღირსეული პირობების შექმნას.

საქართველოს სამხედრო ძალების (მათ შორის, ქვეყნის შეიარაღებული ძალების) დანიშნულება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით და მოიცავს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, აგრეთვე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. სშმ-ის მართვა ხორციელდება შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის პრინციპის საფუძველზე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მითითებებითა და ზედამხედველობით.

საქართველოს უსაფრთოხების გარემოს გათვალისწინებითა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს შეიარაღებული ძალების ძირითადი მიზნებია:

- შეკავებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა;
- რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა;
- ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს.

კრიზისებისა და ომის დროს, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სტრატეგიული მითითებებისა და თავდაცვის გეგმის შესაბამისად, სახმელეთო ჯარები პასუხისმგებელნი არიან შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნებაზე, ოპერატიულ დაგეგმვაზე, ძალთა გაშლასა და ოპერაციების მართვაზე. შეიარაღებული ძალებისთვის დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულება დამოკიდებულია სამხედრო ოპერაციების წარმართვის უნარსა და შესაძლებლობაზე. ამისათვის, საჭიროა საბრძოლო მომზადების მაღალი დონის მიღწევა, თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება, სამხედრო მოსამსახურეთა პროფესიონალიზმის ამაღლება და შეიარაღებული ძალების უფრო მობილურ და ნატოსთან თავსებად ძალებად გარდაქმნა.

სახმელეთო ჯარების სარდლობას ექვემდებარებიან შემდეგი ქვედანაყოფები: 1 მსუბუქი ქვეითი, 3 ქვეითი, 1 მექანიზირებული, 2 საარტილერიო, 1 საინჟინრო, 1 საჰაერო თავდაცვის, 1 საავიაციო ბრიგადა, 1 შერეული საავიაციო ბაზა და კავშირგაბმულობის კვანძი, აგრეთვე - სამედიცინო და დაზვერვის ცალკეული ბატალიონები (შეიქმნა „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016“ დოკუმენტის რეკომენდაციების შესაბამისად). ეროვნული გვარდიის დაქვემდებარებაშია 2 კადრირებული ქვეითი ბრიგადა (იხ. ფიგურა 2.3).

„თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016“ დოკუმენტის რეკომენდაციების შესაბამისად, მიმდინარეობს სახმელეთო ჯარების სარდლობის ნაცვლად აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობების ჩამოყალიბება. პროცესი დასრულდება საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანის შემდგომ. ზემოაღნიშნული სარდლობები, საკუთარი პასუხისმგებლობის რაიონებში, განახორციელებენ მათდამი დაქვემდებარებული ქვედანაყოფების ოპერატიულ მართვასა და კონტროლს, უკეთ შეისწავლიან სამობილიზაციო რესურსს და განახორციელებენ ლოგისტიკური უზრუნველყოფის ეფექტიან გადანაწილებას.



ფიგურა 2.3: საქართველოს შეიარაღებული ძალები

3. თავდაცვის დაგეგმვა და მართვა

თავდაცვის დაგეგმვა და მართვა ხორციელდება თავდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესში შემუშავებულ კონცეპტუალურ-სტრატეგიულ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდაუწყებრივ დოკუმენტებს ეფუძნება და მოითხოვს თავდაცვის რესურსების მართვის გამართული სისტემის არსებობას.

3.1. საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. კონსტიტუცია აყალიბებს იმ ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება თავდაცვის დაგეგმვა და მართვა. არსებული მდგომარეობით, ქვეყნის თავდაცვა და თავდაცვის დაგეგმვა რეგულირდება შემდეგი ძირითადი კანონებით:

საქართველოს კანონი „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის საფუძვლებსა და ორგანიზაციას, თავდაცვის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

საქართველოს კანონი „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ წარმოადგენს თავდაცვის დაგეგმვის საფუძველს და განსაზღვრავს კონკრეტულ მოთხოვნებსა და პასუხისმგებლობებს; ითვალისწინებს თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიული დონის სამართლებრივი აქტების შემუშავებას და მათ პერიოდულ გადახედვას. ასევე, ითვალისწინებს თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის სამართლებრივი აქტების მომზადებას.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტების შესამუშავებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც თავდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის გადახედვა-განახლებაზე მუშაობს.

3.2. კონცეპტუალური ჩარჩო

საქართველოს შეიარაღებული ძალები საკუთარი საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს სტრატეგიული და უწყებრივი დოკუმენტებით, რომლებიც სახელმწიფოს ფუნდამენტურ ღირებულებებსა და ინტერესებს, აგრეთვე ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხეებსა და გამოწვევებს განსაზღვრავენ (იხ. ფიგურა 3.1).



ფიგურა 3.1: სტრატეგიული დოკუმენტები

- **საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია** განსაზღვრავს სახელმწიფოს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს, საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს. ადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის და მისი საგარეო, სოციალური და ეკონომიკური პრიორიტეტების ძირითად მიმართულებებს.

- **საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი** განსაზღვრავს ქვეყნის წინაშე მდგარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და ტრანსნაციონალურ საფრთხეებს, მათი მატერიალიზების რისკებს და მოსალოდნელ შედეგებს.

- **ეროვნული სამხედრო სტრატეგია** წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიზნებსა და ამოცანებს, მათ განსახორციელებლად საჭირო შესაძლებლობებს.

- **თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა** განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითად მიმართულებებს. მიზნად ისახავს სშძ-ის შესაძლებლობების განვითარებას და ნატოსთან თავსებადობის გაღრმავებას. დოკუმენტში ასახული რეკომენდაციები, არსებული შესაძლებლობების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე აყალიბებს ხედვებს სშძ-ის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფილი იქნება თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის განხორციელების გეგმის შესაბამისად.

- **თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო** საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტებზე დაყრდნობით განსაზღვრავს პროგრამების სტრუქტურას და მოიცავს საჭირო მითითებებს პროგრამის მენეჯერებისა

და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის საბიუჯეტო და შემდგომი წლების თავდაცვის პროგრამების შემუშავების პროცესში.

- **მინისტრის ხედვის** დოკუმენტი ინფორმაციული ხასიათისაა და ასახავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითად მიმართულებებს მოკლევადიან პერიოდში. დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სისტემის ინსტიტუციური განვითარებისათვის საჭირო შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

3.3. გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მართვის პროცესის დეცენტრალიზაციისა და ეფექტიანობის მიზნით, ფუნქციონირებს გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების სამდონიანი სისტემა, რომელიც შედგება გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს, მართვის ჯგუფისა და მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფებისგან (იხ. ფიგურა 3.2).

მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფები დაკომპლექტებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენლებით. აღნიშნული შემადგენლობა ხელს უწყობს სამინისტროსა და შტაბს შორის კოორდინირებულ თანამშრომლობას. სამუშაო ჯგუფის ფუნქციაა, მისი კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებული საკითხებისა და შესაბამისი დოკუმენტების/გეგმების განხილვა, დამუშავება და მართვის ჯგუფისთვის რეკომენდაციების მომზადება.

მართვის ჯგუფი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. მას ხელმძღვანელობს მინისტრის მოადგილე, ხოლო ჯგუფის თანათავმჯდომარეა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე. მართვის ჯგუფი დაკომპლექტებულია სამინისტროსა და გენერალური შტაბის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებით. ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ხოლო მდივნის - რეფორმების კოორდინაციის სამმართველოს წარმომადგენელი ასრულებს. მართვის ჯგუფის ფუნქციაა, სამინისტროს განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმების შეფასება, თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის პროცესების ხელშეწყობა, თავდაცვის რეფორმების პროცესის წარმართვა, მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის კოორდინაცია და აღნიშნულიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიმღები საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა.

გადაწყვეტილების მიმღები საბჭო ხელმძღვანელობს თავდაცვის სტრატეგიული და შიდაუწყებრივი დაგეგმვის პროცესს, განიხილავს და ამტკიცებს თავდაცვის სტრატეგიულ შიდაუწყებრივ დოკუმენტებს, განიხილავს მართვის ჯგუფის წინადადებებსა და რეკომენდაციებს და გასცემს შესაბამის დავალებებსა და მითითებებს. გადაწყვეტილების მიღების აღნიშნული სტრუქტურა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სტრუქტურული ერთეულების აქტიური ჩართულობის ხარჯზე, ხელს უწყობს თავდაცვის ტრანსფორმაციისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების დაგეგმვის, აღსრულებისა და ანგარიშგების პროცესების მართლზომიერ წარმართვას და შესაბამისად რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას.



ფიგურა 3.2: გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის სტრუქტურა

პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ განხორციელდა თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების მიღების პროცესის დადებითი და ნაკლოვანი მხარეების ანალიზი, რომლის საფუძველზეც მომზადდა „გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს, მართვის ჯგუფისა და მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფების დებულების“ განახლებული პროექტი (დებულებაში ცვლილებები შევიდა და დამტკიცდა 2014 წლის 21 თებერვალს მინისტრის №229 ბრძანებით). დოკუმენტი მოწონებულ იქნა მართვის ჯგუფის მიერ. ცვლილებების მიხედვით, დაკონკრეტდა გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს, მართვის ჯგუფისა და მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფების ფუნქციები, მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფებს დაემატება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი; საჭიროებიდან გამომდინარე, განისაზღვრა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების სამივე რგოლის საქმიანობის პროცესში.

ცვლილებების პაკეტი აგრეთვე მოიცავს, მართვის ჯგუფის მიერ თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის იმპლემენტაციის კვარტალური ანგარიშის განხილვა/შეფასებას და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას. ასევე შემუშავდა მართვის ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღების ალტერნატიული ფორმა, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას მართვის ჯგუფის წევრთა გამოკითხვის წესით. აღნიშნული ფორმა ხელს უწყობს მართვის ჯგუფზე წარდგენილი პროექტების მოწონებას დამატებითი შეხვედრის გარეშე. მართვის ჯგუფის მდივანი, ელექტრონული ფოსტის საშუალებით წევრებს უგზავნის წარმოდგენილ პროექტს. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ დათქმულ ვადაში მართვის ჯგუფის წევრთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს წარმოდგენილ პროექტს.

3.4. თავდაცვის რესურსების მართვა

თავდაცვის რესურსების მართვის სისტემა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში რესურსების რაციონალური განაწილების და მაშასადამე, არსებული რეალობის შესაბამისი სტრატეგიული დაგეგმვის მხარდამჭერია. სისტემა მოიცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო პროგრამების დაგეგმვას, განხორციელებას და შეფასებას. პროგრამების შემუშავებისას სამინისტრო ითვალისწინებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ საბიუჯეტო წლის რიცხოვნებისა და დაფინანსების ზღვრულ მოცულობებს.

3.4.1. მატერიალური რესურსების მართვა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს მუშაობას დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის (PPBS) დანერგვაზე. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს თავდაცვის რესურსების ეფექტიან განაწილებას სტრატეგიული და შიდაუწყებრივი დოკუმენტებით განსაზღვრული პრიორიტეტების მხარდაჭერის მიზნით. სისტემის წარმატებით განხორციელების შედეგად, სამინისტროს სრულად პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტი ექნება. ბიუჯეტში იქნება მოცემული დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა საქმიანობის განხორციელებას გეგმავს სამინისტრო შესაბამის საბიუჯეტო წელს, რა ხარჯები გაიწევა მის განსახორციელებლად და რა ინდიკატორებით შეფასდება ამ საქმიანობის ეფექტიანობა.

3.4.2. ფინანსური რესურსების მართვა

თავდაცვის სამინისტროს საფინანსო მმართველობა შედგება ფინანსების მართვის დეპარტამენტის, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის, გენერალური შტაბის, სარდლობების, ბრიგადების, ცალკეული ბატალიონების, ეროვნული გვარდიის, სამხედრო პოლიციისა და დაზვერვის დეპარტამენტების საფინანსო სამსახურების და სამხედრო ქვედანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური განყოფილებებისაგან. ფინანსური ოპერაციები წარმოებს ცენტრალიზებულად, სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით. ხაზინასთან უშუალო ურთიერთობას აწარმოებს ფინანსების მართვის დეპარტამენტი, რომელიც ოპერაციებს საკასო წესით აღრიცხავს.

3.4.3. ადამიანური რესურსების მართვა

ადამიანური კაპიტალის ეფექტიანი მართვა და განვითარება თავდაცვის სამინისტროს მნიშვნელოვანი ფუნქციაა. სამინისტროს მიზანია განავითაროს სისტემა, სადაც თითოეული თანამშრომელი საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების თანაბარი შესაძლებლობით სარგებლობს. ეფექტიანი ადამიანური რესურსების მართვის სისტემა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის მქონე პერსონალის სათანადო თანამდებობაზე რეკრუტირებას, განვითარებასა და შენარჩუნებას. აღნიშნული სისტემის განვითარება თავდაცვის რეფორმირების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომელიც დამსახურებაზე დაფუძნებული მართვის ინსტიტუციონალიზაციას ისახავს მიზნად.

ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტთან ერთად, პასუხისმგებელია თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელების მონიტორინგზე.

ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის მნიშვნელოვანი ფუნქციაა სამოქალაქო პერსონალის რეკრუტირების, შიდა შერჩევის, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის, პროფესიული განვითარების, კარიერის მართვის და შენარჩუნების პოლიტიკის განსაზღვრა, ინსტიტუციონალიზაცია და პროცესების წარმართვა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკადრო პოლიტიკის დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, მათი განხორციელება და კონტროლი.

4. 2014 წლის ძირითადი პრიორიტეტები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2014 წლის ძირითადი პრიორიტეტები მოცემულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო დოკუმენტში „მინისტრის ხედვა 2013-2014“. აღნიშნული პრიორიტეტებია:

- **გამჭვირვალობის გაზრდა და სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება** – თავდაცვის სამინისტროს მაქსიმალური გამჭვირვალობა მნიშვნელოვნად შეამცირებს შეცდომის დაშვებისა და არასწორი გადაწყვეტილების მიღების რისკებს, ხელს შეუწყობს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვას და რეფორმების წარმატებით განხორციელებას.

- **თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება** – სშმ-ის პროფესიონალიზმის, მობილურობისა და საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებას, ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზებას მოითხოვს. ამ მიმართულებით 2013-2014 წლებში განხორციელებული/დაგეგმილი ცვლილებები სშმ-ის საბოლოო სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად მყარ საფუძველს შექმნის.

- **ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემების განმტკიცება** – სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლების უზრუნველსაყოფად, საჭიროა პროფესიული განვითარების პროგრამებისა და ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დახვეწა.

- **ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება** – ინსტიტუციური რეფორმების მიზანი თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის, ასევე, რესურსების განაწილების სისტემების მოდერნიზებაა.

- **ნატოსთან თავსებადობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება** – ნატოში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. თავდაცვის სამინისტროს ამოცანაა, თანმიმდევრული ნაბიჯებითა და აქტიური მუშაობით, ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას შეუწყოს ხელი.

მინისტრის ხედვის დოკუმენტები (2013-2014 და 2015-2016 წწ.) ხელმისაწვდომია ნებისმიერი მკითხველისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე (www.mod.gov.ge).

5. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

სამინისტროს მართვა, შეირაღებული ძალების განვითარება და გამოყენება, შეიარაღებისა და მატერიალური საშუალებების შესყიდვა ხორციელდება საქართველოს შეირაღებული ძალებზე დემოკრატიული კონტროლის პრინციპის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სამინისტროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდა წარმოადგენს, რაც ხელს უწყობს თავდაცვის სისტემის ჯანსაღ და ქმედით ფუნქციონირებას. ამ მიმართულებით 2014 წელს თავდაცვის სამინისტროში გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები.

5.1. კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა

„კეთილსინდისიერების ამაღლების“ (Building Integrity) პროგრამა შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს 2007 წლიდან. ის მიზნად ისახავს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემების გამჭვირვალობის გაზრდას. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შეუერთდა ნატოს „კეთილსინდისიერების ამაღლების“ პროგრამას, 2013 წელს და პერიოდულად ახორციელებს შესაბამის აქტივობებს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ანტიკორუფციული გარემოს გაძლიერების კუთხით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმა 2014-2015“. დოკუმენტი მიზნად ისახავს თავდაცვის სისტემაში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის და კორუფციული რისკების შემცირების ხელშეწყობას და შვიდ ძირითად მიმართულებას მოიცავს (საპარლამენტო ზედამხედველობა, ანტიკორუფციული პოლიტიკა, ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა, სახელმწიფო შესყიდვები, საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა).

თითოეულ მიმართულებაში კონკრეტული ღონისძიებებთან ერთად დაკონკრეტებულია მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, კურატორი მინისტრის და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეები, განხორციელების ვადები და შეფასების ინდიკატორები.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში კეთილსინდისიერების განმტკიცების (BI) ტრენინგ კურსების მხარდაჭერასთან“ დაკავშირებით 2014 წლის მაისის თვეში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნატოს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი.

5.2. საპარლამენტო ზედამხედველობის განმტკიცება

სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტთან საპარლამენტო კონტროლისა და ზედამხედველობის ეფექტური განხორციელების მიზნით. კერძოდ, სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა რეგულარულად მონაწილეობს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომებში, რაც მიზნად ისახავს პარლამენტის წევრთა ინფორმირებას თავდაცვის უწყებაში

მიმდინარე პროცესებზე, სამომავლო ინიციატივებსა და თანამშრომლობაზე სტრატეგიულ პარტნიორებთან (NATO-საქართველო, აშშ-საქართველოს თავდაცვის თანამშრომლობა, ISAF და ა.შ.).

თავდაცვის მინისტრი რეგულარულად წარუდგენს პარლამენტს დეტალურ ანგარიშს სამინისტროს საქმიანობისა და გაწეულ დანახარჯებთან დაკავშირებით. მაგალითად, 2014 წ. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი პირების მონაწილეობით 20-ზე მეტი საკომიტეტო მოსმენა ჩატარდა. მოსმენები მიეძღვნა სამინისტროს მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ცვლილებებს, ნატო-საქართველოს ურთიერთობას, სამინისტროს მიერ მომზადებულ კონცეპტუალურ და სტრატეგიულ დოკუმენტებს და ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს.

2014 წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს შორის, მუდმივად მიმდინარეობდა მჭიდრო თანამშრომლობა კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და საპარლამენტო კონტროლის კუთხით, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში 2014 წლის განმავლობაში მიღებული იქნა ათი კანონი, ხოლო რვა კანონი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში და გადის საკომიტეტო მოსმენებს.

ამასთან ერთად, პარლამენტის წევრები ჩართულნი არიან საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოველდღიურ საქმიანობაში. 2014 წლის განმავლობაში კანონმდებლებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებაში. მაგალითად, 2014 წლის თებერვალში, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი მოწვეულ იყო სპეციალური ოპერაციების ძალების ბაზაზე გამართულ ქართული წარმოების ჯავშანჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების პრეზენტაციაზე.

მარტში ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფი მოინახულეს საქართველოს პრეზიდენტმა, გენერალური შტაბის უფროსმა, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავჯდომარემ. აპრილში, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების სკოლის 47 მსმენელს უმასპინძლა. შეხვედრაზე დისკუსიები გაიმართა სამხედრო სფეროში მიმდინარე მოვლენებზე, ქვეყნის უსაფრთხოების და სამოქალაქო თავდაცვის განვითარების საკითხებზე. ხოლო მაისში, შეხვედრა გაიმართა დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში. სამდღიანი სემინარის მთავარი თემა გენდერული თანასწორობის საკითხებს უკავშირდებოდა.

5.3. შესყიდვების გამჭვირვალობა

ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემების შესაბამისად, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გამოცხადდა 484 ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ჯამური ღირებულებით - 34 431 225,60 ლარი. გაფორმდა 250 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ჯამური ღირებულებით - 19 229 359 ლარი. მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 2 063 471,42 ლარი. ამასთან ერთად, შესყიდვებისა და საწყობების მართვის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით განხორციელდა

შესყიდვების, სასაქონლო მარაგების დასაწყობების, შიდა სასაწყობო ოპერაციების განაწილების პროცესებისა და პროცედურების აღწერა. ერთი მხრივ, აღნიშნული უზრუნველყოფს გაწერილი პროცესების და პროცედურების სტანდარტებად გარდაქმნას, ხოლო მეორე მხრივ - შესაბამისი ელექტრონული პროგრამების/მოდულების შემუშავებისათვის პირველადი ბაზის შექმნას (იხ. ფიგურა 5.2).

წელი	ტენდერების რაოდენობა		
	შემდგარი	არშემდგარი	გამოცხადებული
2011	16	16	32
2012	17	5	22
2013	136	106	242
2014	250	234	484

წელი	ტენდერების ღირებულება (ლარი)			
	შემდგარი	არშემდგარი	ეკონომია	გამოცხადებული
2011	11 055 310	62 624 780	1 367 524	75 047 614
2012	17 708 329	40 110 000	1 446 209	59 264 538
2013	32 309 076	140 731 865	6 610 040	180 850 981
2014	19 229 359	15 201 866	2 063 471	34 431 225

ფიგურა 5.2: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ღირებულება

5.4. არასამთავრობო სექტორის ჩართულობა

თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან. სამინისტროში შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციებითა და ექსპერტებით დაკომპლექტებული სამი თემატური სამუშაო ჯგუფი (გამჭვირვალობისა და ადამიანის უფლებების, თავდაცვის ტრანსფორმაციის და ნატოში ინტეგრაციისა და საერთაშორისო ოპერაციების სამუშაო ჯგუფები), რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობას თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და მათ მონიტორინგში. სამუშაო ჯგუფებში გაწევრიანება თავისუფალია ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისთვის.

სამინისტროს ხელმძღვანელობა აწარმოებს პერიოდულ შეხვედრებს ჯგუფის წევრებთან. 2014 წლის განმავლობაში გაიმართა თორმეტი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. სამუშაო ჯგუფის წევრებმა წარადგინეს საკუთარ მოსაზრებები

საკანონმდებლო ცვლილებებზე (კანონის პროექტები), მიმდინარე რეფორმებზე, სტრატეგიულ დოკუმენტებსა და მათ სამოქმედო გეგმების პროექტებთან დაკავშირებით. აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის ამაღლებას და რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში საზოგადოების ჩართვას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უელსში გამართულ ნატოს სამიტს და საქართველოსა და ნატოს სამომავლო თანამშრომლობის საკითხებს. არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ამ თემაზე გაიმართა ორი შეხვედრა. მათგან ერთ-ერთზე მოწვეულ იყვნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ვიზიტად მყოფი ნატოს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის სამმართველოს, თავდაცვის დაგეგმვის დირექტორატის ხელმძღვანელი ფრანკ ბოლანდი და ნატოს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის სამმართველოს, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის დამკვირვებელი საქართველოში გუსტავ რომენი.

2014 წლის მაისში, ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში მესამედ ჩატარდა „ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი“, რომელშიც სახელმწიფო სტრუქტურების, კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კურსის განმავლობაში ისინი ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემას, მიმდინარე რეფორმებს გაეცნენ და ქვეყნის უსაფრთხოების გარემოში საკუთარი როლი გაანალიზეს. პარალელურად, მათ სხვა მონაწილეებთან ერთად სიმულაციური კრიზისის სცენარზეც იმუშავეს. „ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი“ ჩამოყალიბდა სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ადაპტირებული კურსების მსგავსად. კურსი ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამისა და დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა.

შეიარაღებულ ძალებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების განსამტკიცებლად და აგრეთვე ჯარის პოპულარიზაციის მიზნით გრძელდება თანამშრომლობა „ჯარის მეგობართა საზოგადოებასთან“. ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, მუსიკოსები, მეცნიერები, მწერლები, ბიზნესმენები და სხვა საზოგადო მოღვაწეები სამინისტროს და სამხედრო ნაწილებს სტუმრობენ და უწყების თანამშრომლებსა და სამხედრო მოსამსახურეებთან დისკუსიებს მართავენ. მეგობართა საზოგადოების ფარგლებში გაიმართა ოცამდე კინოჩვენება სხვადასხვა ქვედანაყოფებში; სამი კონცერტი ლექსო თორაძის მონაწილეობით, ეროვნული გვარდიის ორკესტრთან ერთად; ათამდე სპექტაკლი სხვადასხვა თეატრებში; თხუთმეტი ლექცია საგანანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებზე; მეგობართა საზოგადოების ინიციატივით გამოიცა გიორგი კვინიტაძის წიგნი „ჩემი მოგონებები“.

5.5. სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ინფორმირების ამაღლება

სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებისათვის შემუშავდა „საზოგადოებასთან ურთიერთობის 2014 წლის გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს. აგრეთვე, შემუშავდა საზოგადოებასთან ურთიერთობის

სტრატეგიის დოკუმენტის პროექტი. სტრატეგია განსაზღვრავს სამინისტროს საინფორმაციო პოლიტიკას და საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითად მიმართულებებს.

მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, თავდაცვის სამინისტროში 2013 წლიდან მოქმედებს სამინისტროს სამოქალაქო მისაღები. მისაღებში დასაქმებული თანამშრომლები დეტალურ ინფორმაციას აწვდიან ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს და უწევენ შესაბამის კონსულტაციებს. მისაღებში მოქმედებს „ცხელი ხაზი“. სამოქალაქო მისაღებში, ასევე ხდება სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრების შეთანხმება და ორგანიზება. თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეები სამუშაო კვირის დღეებში, დადგენილი გრაფიკის მიხედვით ხვდებიან და ეხმარებიან მოქალაქეებს კრიტიკული საკითხების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტაში. სულ 2014 წლის განმავლობაში გაიმართა 623 შეხვედრა მოქალაქეებთან. 2013 წლის 30 ოქტომბრიდან 2014 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით, მოქალაქეთა მისაღებში შემოსული განცხადებების რაოდენობამ შეადგინა 5123.

აქტიურად შუქდება თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები, ვიზიტები, სამხედრო სწავლებები და სხვა ღონისძიებები. ინფორმაცია დაუყონებლივ თავსდება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.mod.gov.ge), ასევე თავდაცვის მინისტრისა და სამინისტროს ოფიციალური Facebook-ისა და youtube-ის გვერდებზე. აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან ფუნქციონირებას დაიწყებს თავდაცვის სამინისტროს ახალი ვებ-გვერდი, რომელიც უფრო ინფორმაციული და ინტერაქტიული იქნება და რომელზეც საჯარო ინფორმაციას ცალკე სივრცე დაეთმობა. მოქალაქეებს საშუალება ექნებათ სასურველი ინფორმაცია მიიღონ ელექტრონულად მათი მოთხოვნის შესაბამისად.

შემუშავდა ISAF-ის მისიაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ საინფორმაციო სტრატეგია, რომელშიც გაწერილია საზოგადოების ინფორმირების მიზანი, სამიზნე ჯგუფები, კომუნიკაციის გზები და მეთოდები. დანართის სახით დოკუმენტს ემატება სამოქმედო გეგმა, მედია პროცედურები, კითხვა-პასუხი და კრიზისების დროს საკომუნიკაციო გზამკვლევი. ISAF-ის მისიაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, ავღანეთში საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტიდან ორი თანამშრომელია მივლინებული.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით დაგეგმილ სამშვიდობო მისიაში ქართული კონტინგენტის მონაწილეობასთან დაკავშირებით მედიის წარმომადგენლობისთვის შემუშავდა საზოგადოების ინფორმირების მედია გეგმა, მესიჯები, სავარაუდო კითხვა-პასუხები და მისიის შესახებ საინფორმაციო პაკეტი.

5.6. საჯარო ინფორმაციის გაცემა

2013 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა, საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს №219 დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების მიხედვით, 2013 წლის 31 დეკემბრამდე მთავრობის მმართველობის სფეროში მოქმედ ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალათ „საჯარო ინფორმაციის“ გვერდის შექმნა და დანართით გათვალისწინებული ნუსხით განსაზღვრული 2013 წლის ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, 2013 წლის 11 დეკემბერს გამოიცა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება №1278, რომლის საფუძველზე სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს დაევალათ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ნუსხაში შეტანილი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტისათვის. მიღებული ინფორმაცია ქვეყნდება თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე სპეციალურად შექმნილ ბანერში - პროაქტიული ინფორმაცია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული წერილების/განცხადებების დაუყოვნებელ აღრიცხვას, განხილვას, შესაბამის ქვედანაყოფებში დაგზავნას და პასუხების დროულ მიღებას ხელი შეუწყო „საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივნისის №863 ბრძანების გამოცემამ, რომლითაც შესაბამის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განისაზღვრა უფლებამოსილი კონკრეტული თანამდებობის პირები.

სამინისტროს მიერ გაიცემა სამინისტროს სისტემაში დაცული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა და საიდუმლო ინფორმაციისა ან კანონმდებლობით გამხელისაგან დაცული ინფორმაციისა, ასევე, თუ მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოადგენს შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, განმცხადებლებს განემარტებათ უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები.

5.7. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია

2014 წლის 26-28 ივნისს ქ. ბათუმში გაიმართა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების რიგით მე-9 კონფერენცია. კონფერენციის მიზანია საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. აღნიშნული ღონისძიება აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, უსაფრთხოების სფეროში არსებული ტენდენციების, გამოწვევებისა და მათი დაძლევის გზების განსახილველად როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო კუთხით. 2014 წლის საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციას დაესწრო 35 ქვეყნის წარმომადგენელი, სხვადასხვა ქვეყნების არასამთვრობო სექტორის 50 წარმომადგენელი, ნატოს ექსპერტები და ევროკავშირის წარმომადგენლები. კონფერენციაზე გაიმართა მსჯელობა შემდეგ მნიშვნელოვან თემებზე: უსაფრთხოების სახეცვლილი პარადიგმა და ახალი მიდგომების ძიება; ევროკავშირი საზღვრებს მიღმა: ჩართულობა უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის; შავი ზღვის რეგიონი: ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სტრატეგიული საყრდენი; პოსტ-ISAF ნატო: შესაძლებლობებისა და თავსებადობის შენარჩუნება; საქართველო: ნატოში გაწევრიანების ზღურბლზე; ალიანსის გაძლიერება 2014 წლის ნატოს სამიტზე.

6. თავდაცვის შესაძლებლობები

სშძ-ის შესაძლებლობების გაუმჯობესება მოითხოვს კომპლექსურ ღონისძიებათა გატარებას. თავდაცვის კრიტიკული შესაძლებლობების განსავითარებლად თავდაცვის სამინისტრო დაბალანსებულ მიდგომას იყენებს. შეზღუდული მატერიალური რესურსების პირობებში ხდება გასავითარებელი თავდაცვის შესაძლებლობების პრიორიტეტიზაცია.

6.1. მართვა და კონტროლი

მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და გენერალური შტაბის სტრუქტურული ოპტიმიზაცია განხორციელდა. მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. გაიმიჯნა შეიარაღებული ძალებისა და გენერალური შტაბის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. შემუშავდა სამხედრო მართვის ცენტრების ორგანიზების პროექტი მართვისა და კონტროლის სისტემების ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის. შეიქმნა მართვის პუნქტების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი. შემუშავდა შეიარაღებული ძალების „მართვისა და კონტროლის კონცეფცია“, რომელიც შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის მექანიზმებს განსაზღვრავს როგორც საომარი, ისე მშვიდობიანი მდგომარეობის დროს. დოკუმენტი განხილულ იქნა შიდაუწყებრივ დონეზე, ასევე ეროვნული უშიშროებისა და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოების მიერ.

6.2. წოდებრივი ანაზღაურების სიტემაზე გადასვლა

სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლა მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს პერსონალის მართვის დასავლური სისტემის ჩამოყალიბებისათვის. ამისათვის, სამინისტროში შემუშავდა „სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივი პრინციპით ანაზღაურებაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა“. თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს შეიარაღებული ძალები გადავიდა წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე. აღნიშნული ცვლილება იყო ნატოს წინაშე აღებული ერთ-ერთი პრიორიტეტული ვალდებულებაც.

6.3. სამხედრო დაზვერვა

შემუშავდა და დამტკიცდა თავდაცვის სამინისტროს „სამხედრო დაზვერვის სისტემის ტრანსფორმაციის კონცეფცია“. დოკუმენტი ემსახურება სამხედრო დაზვერვის სისტემის ოპტიმიზაციას, ნატოსთან თავსებადობის მიღწევასა და სადაზვერვო შესაძლებლობების ეტაპობრივ გაუმჯობესებას. კონცეფციის საფუძველზე შეიქმნა სამხედრო დაზვერვის განვითარებისთვის გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა. შემუშავდა სამხედრო და ოპერაციების უსაფრთხოების კონცეფციის პროექტი. 2014 წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სადაზვერვო დანაყოფების სიტუაციური საველე სწავლება „გოდოგანი 2014“ და სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის შტაბს დაქვემდებარებულ სადაზვერვო დანაყოფებში სადაზვერვო სიტუაციური სწავლება „ტეხური 2014“. საბრძოლო მზადყოფნის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით განხორციელდა „დაზვერვის დანაყოფების გადამზადების პროგრამა“.

6.4. სპეციალური ოპერაციების ძალები

შემუშავდა „სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარების სტრატეგია 2015-2020" პროექტი, რომელიც განსაზღვრავს მიზნებს, განვითარების ძირითად მიმართულებებს, მიზნების მიღწევის გზებს და საშუალებებს. გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა დოქტრინების, სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და ასევე „სპეციალური ოპერაციების ძალების შტაბის ოპერაციის პროცესის" სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შემუშავება. ყურადღება ეთმობა სასწავლო ცენტრისა და სკოლების სტრუქტურულ რეორგანიზაციას.

სპეციალური ოპერაციების ძალების დისლოკაციის ბაზებზე გრძელდება ადმინისტრაციული, საყოფაცხოვრებო, საწვრთნელი და ლოგისტიკური ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელება. აგრეთვე, მომზადდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განახლების და საჭირო საშუალებების შეძენის გეგმა.

თანამშრომლობა ვითარდება ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო წარმომადგენლობებთან. მაგალითად, ურთიერთობა დამყარდა და მიმდინარეობს ორმხრივი გეგმიური თანამშრომლობა ნატოს სპეციალური ოპერაციების სარდლობასთან (NSHQ), აშშ სპეციალური ოპერაციების სარდლობასა (USSOCOM), აშშ ევროპის სპეციალური ოპერაციების სარდლობასთან (USSOCCEUR) და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ნატოს სპეციალური ოპერაციების სარდლობის (NSHQ) წარმომადგენელთა მოსამზადებელი და შემდგომ წინასწარი შეფასებითი ვიზიტები, რომელთა ფარგლებში ნატოს წარმომადგენლების მიერ მოხდა საქართველოს სპეციალური ოპერაციების ძალების წინასწარი შეფასება და რეკომენდაციების გაცემა საქართველოს მხრიდან აღებული ვალდებულებისა და ნატოს მისიებში 2017 წლისათვის სპეციალური ოპერაციების ტაქტიკური ქვედანაყოფის მონაწილეობის თაობაზე.

სპეციალური ოპერაციების ძალების რეინჯერებისა და სამთო-სადაზვერვო ბატალიონების პირადმა შემადგენლობამ ISAF-ის მისიაში მონაწილეობა დაასრულა. 2014 წელს, ნოემბერში, აღნიშნული ბატალიონების ბოლო ნაკადი დაბრუნდა საქართველოში.

6.5. მობილურობა და კონტრმობილურობა

ჩამოყალიბდა საინჟინრო სკოლა სასწავლო ცენტრ „კრწანისის" შემადგენლობაში, შეირჩა საინჟინრო სკოლის ინსტრუქტორთა პირადი შემადგენლობა. შემუშავდა და დამტკიცდა საინჟინრო ბრიგადის და საინჟინრო დანაყოფების სტრუქტურა და შტატი. მიმდინარეობს საინჟინრო დანაყოფების განვითარების გეგმის შემუშავება.

6.6. საჰაერო თავდაცვა

შემუშავდა საჰაერო სივრცის კონტროლისა და საჰაერო თავდაცვის განვითარების გეგმების პროექტი. აღნიშნული განსაზღვრავს არსებული შეიარაღებისა და ტექნიკის მოდერნიზების საკითხებს, ახალი ტექნიკის, შეიარაღების შესყიდვასა და შესყიდული ტექნიკისა და შეიარაღების გამოყენების მიზნით პირადი შემადგენლობის მომზადება-გადამზადების პროცესს. ყველა საბრძოლო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკას სეზონური სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა. აგრეთვე, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ბრიგადის ახალი შტატი დამტკიცდა.

6.7. საზღვაო თავდაცვა

სამობილიზაციო რესურსის განსაზღვრისთვის შეიქმნა მცურავი საშუალებების ერთიანი მონაცემთა ბაზა. საზღვაო თავდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ოდესაში (უკრაინა) დაგეგმილ საზღვაო სწავლებაში **„SEA BREEZ-2014“** და ქ. ბათუმში ფართომასშტაბიან ძებნა-გადარჩენის და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნაში **„GEO SAR & OSREX 2014“**.

6.8. კავშირგაბმულობა და ინფორმაციული სისტემები

დამტკიცდა სახმელეთო ჯარების კავშირგაბმულობის ცენტრის ახალი სტრუქტურა და შტატი. 2014 წელს კავშირგაბმულობის ცენტრს დაემატა ახალი ფუნქცია, შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული მართვის პუნქტების ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო. 2014 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჩატარდა კავშირგაბმულობის სწავლება „კავშირი-2014“ და კავშირგაბმულობის სიტუაციური სწავლება. შეიარაღებული ძალების კავშირგაბმულობის ქვედანაყოფებში ჩატარდა მთაგორიან და ტყიან პირობებში კავშირების უზრუნველყოფის სწავლება. სახმელეთო ჯარების საავიაციო და საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებში განხორციელდა კავშირგაბმულობის მდგომარეობის შესწავლა, ასევე მიმდინარეობს მუშაობა დაუქსელავი ქვედანაყოფების შიდა ქსელების მოსაწყობად. აგრეთვე, მიმდინარეობს მუშაობა ავტოტრანსპორტის, ინვენტარის, ინფრასტრუქტურის, ჯავშანტექნიკის, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ტაბელის, შეიარაღებისა და კავშირგაბმულობის აღრიცხვიანობის ელექტრონულ სისტემის შექმნაზე.

6.9. ლოგისტიკური უზრუნველყოფა

მიმდინარეობს ლოგისტიკური უზრუნველყოფის დოქტრინების შემუშავება. ლოგისტიკური ოპერაციების ავტომატიზაციის მიზნით მოხდა ლოგისტიკური პროცესების, სამუშაო სპეციფიკის და პროცედურების აღწერა. დაიწყო მუშაობა ელექტრონული სისტემის შექმნაზე. დაგეგმილია 2015 წლის ბოლომდე სისტემის ყველაზე პრიორიტეტული რამდენიმე მოდულის შექმნა და მისი სატესტო რეჟიმში გაშვება. 2014 წლის სექტემბერში ჩატარდა ლოგისტიკის მართვის სამეთაურო-საშტაბო სიმულაციური სწავლება (JCATS), რომლის მიზანი არსებული ხარვეზების გამოვლენა და მათი შემდგომ გამოსწორება იყო.

6.10. სამხედრო ინფრასტრუქტურა

2014 წლის განმავლობაში სამუშაოები განხორციელდა სამხედრო ინფრასტრუქტურის განახლებისა და მოწესრიგების კუთხით. შემუშავდა ინფრასტრუქტურის განვითარების 2014-2015 წლების გეგმა, რომლის ფარგლებშიც პრიორიტეტად განისაზღვრა ყაზარმებისა და სასადილოების მოწესრიგება. განხორციელდა სხვადასხვა შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოები. ყურადღება დაეთმო წყალკანალიზაციისა და სასმელი წყლით მომარაგების, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის, გაზიფიცირების, სამშენებლო და სხვა ტიპის სამუშაოების განხორციელებას. მაგალითად, 2014 წელს განხორციელდა:

- ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრში შემოღობვითი სამუშაოები;
- ქ. წეროვანში, სამხედრო მოსამსახურეთა რეაბილიტაციის ცენტის შენობა-ნაგებობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო და გასართობი მოედნის მოწყობის სამუშაოები;

- ქ. გორში, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის განთავსების ტერიტორიაზე №1 კორპუსის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- ქ. მარნეულში, საავიაციო ბრიგადის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საჭირო სამუშაოები;
- განხორციელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიასა და მე-5 ქვეითი ბრიგადის 52-ე ბატალიონის სასადილოებში სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფის აღრიცხვის ელექტრონული სისტემის საპილოტე რეჟიმში გაშვების სამუშაოები.
- ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №117-ში მდებარე ს/ქ №1-ის ტერიტორიაზე განთავსებული თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მე-4 და მე-8 სართულებზე, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოთახებში და ყაზარმაში ჩასატარებელი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- სასწავლო ცენტრი „კრწანისის“ ტერიტორიაზე სასადილოს და საყარაულო შენობის სარემონტო სამუშაოები.

2014 წლის საქმიანობა	
დასრულებული ინფრასტრუქტურული და სამშენებლო სამუშაოები	28
მიმდინარე ინფრასტრუქტურული და სამშენებლო სამუშაოები	17
დასრულებული სამშენებლო პროექტები	32

ფიგურა 6.1: სამხედრო ინფრასტრუქტურული და სამშენებლო სამუშაოები

6.11. სამხედრო ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება

წელს თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მიმართულებით მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ქვეყნებში გამართულ 15-მდე სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, უმასპინძლა 2 სიმპოზიუმსა და იარაღის საექსპორტო კონტროლის შესახებ 2 საერთაშორისო სემინარს, რომელშიც ევროკავშირისა და აშშ-ის ექსპერტების გარდა მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, მოლდოვას, უკრაინის, ბელორუსისა და სომხეთის წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის განმავლობაში სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა დეპარტამენტის მიერ გაცემული ნებართვებისა ლიცენზიების მოსაკრებლების სახით ბიუჯეტში შეტანილია 200 000 (ორასიათასი) ლარამდე.

6.12. რეზერვისა და მობილიზაციის სისტემა

შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, გრძელდება რეზერვისა და მობილიზაციის არსებული სისტემის ანალიზი. რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის დახვეწის მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალების რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის კონცეფციის პირველადი პროექტი შემუშავდა. სამომავლოდ, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფციის, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება მოხდება. აგრეთვე განხორციელდება საკანონმდებლო ბაზის განახლება. ამასთან, 2014 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა რეზერვისტთა მონაცემთა ბაზის

განახლება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა გეოინფორმაციულ (GIS) ბაზაში. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის დეკემბერში დანიის სამეფოს შიდა გვარდიის წარმომადგენლების მიერ განხორციელდა მე-10 და მე-20 კადრირებული ბრიგადების რეზერვისტთა მომზადების ბაზების „სორტა“ და „პალდო“ საველე სასროლეთების რეაბილიტაცია. 2014 წლის ძირითადი ღონისძიებების გეგმის თანახმად მე-4 კვარტლის გამავლობაში მიმდინარეობდა ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადება.

7. ადამიანური რესურსების მართვა

ადამიანური რესურსების მართვის გამართული სისტემა თავდაცვის ეფექტურ ორგანიზებას უწყობს ხელს. აღნიშნულ სფეროში მიმდინარე რეფორმა ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე და ეფექტიანი სისტემის დანერგვასა და განვითარებას, პროფესიონალი და მოტივირებული სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პერსონალის მოზიდვა-შენარჩუნებას ისახავს მიზნად.

7.1. ადამიანური რესურსების მართვა

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების სტრატეგია“. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ყველა კომპონენტს, მექანიზმს და მათი დანერგვის პროცესს. სტრატეგია განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის სისტემის სრულყოფილად განვითარების ძირითად მიმართულებებს, ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმებს, სასურველი შედეგებისა და წარმატების შეფასების ინდიკატორებს, სისტემის დანერგვისათვის საჭირო პირობებს, ახალი სისტემის დანერგვის გზებსა და საშუალებებს.

2014 წელს შემუშავდა და ბროშურის სახით გამოიცა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საჯარო მოხელეთა გზამკვლევი“, რომელშიც აღწერილია სამინისტროს ამოცანები, სტრუქტურა, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობა (კოორდინაცია) მოხელეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები, მათი სოციალური დაცვის გარანტიები, სამინისტროს ანტიკორუფციული და გენდერული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და სამართლებრივი საკითხები. ასევე, შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია სისტემის ძირითადი მოდულები და მათი შესრულების ვადები.

მიმდინარეობს მუშაობა „თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალის პროფესიული განვითარების სახელმძღვანელოსა“ და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამსახურებრივი ეთიკის ნორმების“ დოკუმენტებზე. ამავდროულად, დაიწყო „სამუშაოთა კლასიფიკაციის სისტემის“ დოკუმენტის შემუშავება და მომზადდა თანამდებობრივი კომპეტენციების ნუსხის პროექტი. აგრეთვე დაიწყო „სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების სისტემის“ დოკუმენტის შემუშავება (მიზნების განსაზღვრისა და სამუშაო აღწერებზე დაყრდნობით) და შესაბამისი სახელმძღვანელოს/რეგულაციების მომზადება.

2014 წელს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში სამოქალაქო პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვისა და პროგრამებისთვის კანდიდატთა შერჩევის 12 საბჭო ჩატარდა. განხილულ იქნა 22 კურსი და შერჩეულ იქნა 27 თანამშრომელი.

7.2. თანამშრომელთა რეკრუტირების სისტემის დახვეწა

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ღია კონკურსების გამოცხადებისა და კანდიდატთა შერჩევის ინსტრუქციის“ დოკუმენტის პროექტი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში

პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის სახელმძღვანელოს. დოკუმენტი განსაზღვრავს კონკურსის გამოცხადების პროცედურებს, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობას, კონკურსის ეტაპებს, კანდიდატთა შეფასების პროცესს, საპრეტენზიო კომისიის საქმიანობას, კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესს და ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია თავდაცვის სამინისტროს კონკურსების გამოცხადებისა და კანდიდატთა შერჩევის პროცესებთან.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა ღია საჯარო კონკურსები 113 პრიორიტეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე. სულ შემოვიდა და განხილულ იქნა 3172 აპლიკანტის განაცხადი, რომელთაგან მხოლოდ 469 მონაწილემ დააკმაყოფილა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული პირობები. 2014 წელს საჯარო კონკურსის საფუძველზე შეირჩა 84 ახალი თანამშრომელი.

ახალი თანამშრომლებისთვის დაინერგა თავდაცვის სისტემის გაცნობის საორიენტაციო პროგრამების ჩატარება. პროგრამები მოიცავს უწყების სტრუქტურის, მისიის, ამოცანებისა და პრიორიტეტების გაცნობას. პროგრამის ფარგლებში სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირები შეხვედრებს მართავენ ახალ თანამშრომლებთან და ინფორმაციას აწვდიან დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ. პროგრამის მსვლელობისას ახალი თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან მასალებით, პრეზენტაციებით, სამინისტროს მნიშვნელოვანი დოკუმენტებითა და სახელმძღვანელოებით. 2014 წლის განმავლობაში 4 საორიენტაციო პროგრამა განხორციელდა.

7.3. სამხედრო მოსამსახურეთა მართვის სისტემის გაუმჯობესება

2014 წელს დამტკიცდა სამხედრო პირადი შემადგენლობის მართვის სისტემების განვითარების სტრატეგია. დოკუმენტში ნათლადაა აღწერილი ის გზები და საშუალებები, ასევე ის პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა განხორციელდეს თანამედროვე დასავლური ტიპის პერსონალის მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. სტრატეგიით დასახული მიზნების წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს ნატოსთან თავსებადობის ხარისხის გაზრდას და შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას.

განახლდა ოფიცერთა და სერჟანტთა წოდებრივი და თანამდებობრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დამტკიცდა სამხედრო მოსამსახურეთა დაწინაურების კონცეფცია. დაწინაურების ახალი სისტემა წარმოადგენს დასავლეთის წამყვანი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ანალოგს. იგი უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეთა დაწინაურებას მაქსიმალურად სამართლიან, ობიექტურ და კონკურენტულ გარემოში. ამ სისტემით მიიღწევა ყველაზე კვალიფიციური და მაღალი პოტენციალის მქონე კადრების დაწინაურება.

წარმატებით მიმდინარეობდა შერჩევის საბჭოების მუშაობა, რომელიც ობიექტური და გამჭვირვალე პროცედურების საფუძველზე უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის დაწინაურებას, საზღვარგარეთ სასწავლო კურსებზე წარგზავნას და სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატების შერჩევას. მიმდინარე წელს სულ ჩატარდა 60 შერჩევის საბჭოს სხდომა. განხილულ იქნა 83 საკითხი, 2083 შერჩევის კანდიდატი. სულ სხვადასხვა მიზნით შეირჩა 1349 მოსამსახურე.

უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდა და დასამტკიცებლად მომზადდა შეფასების ახალი, უფრო გამარტივებული ფორმა. მარტის თვეში განხორციელდა სამხედრო მოსამსახურეების ყოველწლიური შეფასებები.

„სამხედრო სამსახურის გავლის“ შესახებ დებულებაში შეტანილი იქნა ცვლილება სამხედრო მოსამსახურეთა მაღალ სამხედრო თანამდებობებზე ყოფნის ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით (ე.წ. 3+1 სისტემა). აღნიშნული სისტემით, სამხედრო მოსამსახურეთა როტაცია მაღალ თანამდებობებზე განხორციელდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ (გამონაკლისის სახით 4 წელიწადში ერთხელ).

მომზადდა და სათანადო ცვლილებები შევიდა სამხედრო მოსამსახურეთა კონტრაქტში (შემცირდა კონტრაქტებში აქამდე მოთხოვნილი ჯარიმის ოდენობები).

შემუშავდა 2015 წლის სახელმწიფოებრივი მომზადების მეცადინეობების თემატიკა და სახელმწიფოებრივი მომზადების პირველი კვარტლის თემები ყველა კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეებისათვის.

სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობათა სისტემის ოპტიმიზაციის მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა საკარიერო გვარეობები და გვარეობათა ძირითადი სპეციალობების კოდირებისა და სპეციალურ კვალიფიკაციათა კოდირების ნუსხები. აგრეთვე, სამხედრო მოსამსახურეთა შეფასების სისტემის ოპტიმიზაციისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა სამხედრო მოსამსახურეთა შეფასების სახელმძღვანელოში შესატანი ცვლილებების პროექტი და შეფასების გამარტივებული ფორმა.

პროფესიულ შეიარაღებულ ძალებზე გადასვლასთან დაკავშირებით მომზადდა პროფესიულ შეიარაღებულ ძალებზე გადასვლის სამოქმედო გეგმის პროექტი და შესაბამისი გათვლები.

7.4. გენდერული თანასწორობა

თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 აპრილის №544 ბრძანებით თავდაცვის სამინისტროში დამტკიცდა თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ამ მიმართულებით არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობას. კერძოდ, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნას, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციასა და აღმოფხვრას და გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლას. სტრატეგია აგრეთვე ითვალისწინებს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის, განსაკუთრებით სამშვიდობო ოპერაციების კონტინგენტში, გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განმტკიცებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით და სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში განისაზღვრა გენდერული მრჩევლები. ბრიგადის დონის თითოეულ

ქვედანაყოფში განსაზღვრულია ორი გენდერული მრჩეველი, ერთი ქალი და ერთი მამაკაცი, რომელთაგან ერთი წარდგენილ იქნა ქვედანაყოფის ხელმძღვანელის, ხოლო მეორე არჩეულ იქნა ქვედანაყოფის ქალი პერსონალის მიერ. ამ ეტაპზე სულ განისაზღვრა 42 გენდერული მრჩეველი, რომელთაც ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), ქალთა საინფორმაციო ცენტრის, ნატოს სამოკავშირეო ოფისის, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF), თავდაცვის სამინისტროსა და ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხელშეწყობითა და ძალისხმევით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობისა და ზედამხედველობისთვის შეიქმნა გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის შექმნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა თავდაცვის ხელი შეუწყოს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენას, მათზე ადეკვატურ რეაგირებას, გაანალიზოს მათი გამომწვევი მიზეზები და მოამზადოს რეკომენდაციები მსგავსი შემთხვევების თვიდან ასაცილებლად.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემია ახორციელებს ტრენინგებს გენდერული თანასწორობის, გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების შესახებ სამშვიდობო ოპერაციებში გადასროლისწინა მომზადების პროცესში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისთვის, აკადემიის საბაკალავრო სკოლის იუნკერების და საკარიერო სკოლების მსმენელებისთვის.

ასევე, პერიოდულად ხორციელდება თავდაცვის სისტემაში დასაქმებული სამოქალაქო და სამხედრო პირების გაგზავნა სხვადასხვა კურსზე, რომლებიც დაკავშირებულია გენდერის თემატიკასთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. 2014 წელს თავდაცვის სამინისტროში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარდა გენდერული აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და შესაბამისი რეკომენდაციები აისახება გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების შესრულების 2015-2016 წწ სამოქმედო გეგმაში.

8. დოქტრინები, წვრთნა და განათლება

სამხედრო განათლებისა და პროფესიული განვითარების სტანდარტების ამაღლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამისათვის თავდაცვის სამინიტროში, მუშავდება შესაბამისი დოქტრინები, მიმდინარეობს პერსონალის წვრთნა და მათ განათლებაზე ზრუნვა. სამხედრო განათლების სისტემა ხელს უნდა უწყობდეს პროფესიონალი, მოაზროვნე, ლიდერის უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრებისა და სერჟანტების კორპუსის შექმნას. წვრთნის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს თანამედროვე სახელმძღვანელოების, მეთოდებისა და სიმულაციური სწავლებების გამოყენებით. სამხედრო მოსამსახურეთა წვრთნის პროცესში ყურადღება ეპყრობა მათ მაქსიმალურ მიახლოებას რეალურ საბრძოლო პირობებთან, რაც განპირობებულია მზადყოფნის მაღალი დონის შენარჩუნების, ბრძოლისუნარიანობის ამაღლების და ნატოსთან თავსებადობის მიღწევის აუცილებლობით.

8.1. დოქტრინები და სახელმძღვანელოები

2014 წელს დოქტრინებისა და საველე წესდებების შემუშავების, მათი ერთიანი სისტემის განვითარებისა და დანერგვის პროცესის ინსტიტუციონალიზაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე განისაზღვრა პრიორიტეტული დოქტრინული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. გამოიცა 25 ახალი სახელმძღვანელო, ითარგმნა 56, დამუშავების სტადიაზეა 54 სახელმძღვანელო. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა დოქტრინების განვითარების კონცეფციაზე.

საქართველოს თავდაცვის სისტემაში საერთაშორისო სამხედრო საგანმანათლებლო სტანდარტებთან თავსებადი სამხედრო განათლების სისტემის განვითარებისათვის შეიქმნა შემდეგი დოკუმენტები:

- „ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფცია“.
- „საქართველოს შეიარაღებული ძალების საგანმანათლებლო პროცესის პოლიტიკა“.
- „საქართველოს შეიარაღებული ძალებში, სამხედრო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია“.
- „საქართველოს თავდაცვის სისტემაში მოსამსახურეთა დიპლომირების და სერტიფიცირების დებულება“.
- „საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სამხედრო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტები“.

8.2. წვრთნები და სამხედრო განათლება

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა და მასზე დაქვემდებარებული ქვედანაყოფები (ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისი“, სერჟანტთა მომზადების ცენტრი, ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრი, საჩხერის სამთო მომზადების სკოლა („ნატოს პარტნიორობის წვრთნებისა და განათლების ცენტრი“), განათლების ცენტრი და საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი “BCT”)

მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს შეიარაღებული ძალების ინსტიტუციონალური განვითარებისა და პირადი შემადგენლობის სამხედრო მომზადების, სამხედრო განათლებისა და საკარიერო მომზადების მხრივ.

2014 წლის განმავლობაში შემუშავდა და დამტკიცდა ოფიცერთა და სერჟანტთა სამხედრო-პროფესიული განათლებისა და კარიერული განვითარების კონცეფციები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა და სერჟანტთა პირადი შემადგენლობისათვის ჩამოაყალიბოს სამხედრო განათლების მიღებისა და კარიერული განვითარების ხედვა. აღნიშნული გამოიხატება ოფიცერთა და სერჟანტთა პირადი შემადგენლობის სამხედრო განათლების დონეებად და საგანმანათლებლო საფეხურებად დაყოფაში, მათი კარიერული ზრდის შესაბამისად.

სამხედრო მოსამსახურეთა სერტიფიცირების და შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა სამხედრო განათლების ერთიან სისტემაში სამხედრო მოსამსახურეთა სერტიფიცირებისა და დიპლომირების დებულება და გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია. დამტკიცდა სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტები.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისთვის ეროვნული სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ და ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის ბაზებზე ჩამოყალიბდა სამხედრო-საინჟინრო, სამხედრო-სამედიცინო, სატანკო და მექანიზირებული სკოლები, სადაც განხორციელდა როგორც კაპრალ-სერჟანტთა, ასევე უმცროს ოფიცერთა მომზადება/გადამზადება (იხ. ფიგურა 8.1)

ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისი“	
სამხედრო სამედიცინო სკოლა	123 სამხედრო მოსამსახურე
სამხედრო-საინჟინრო სკოლა	19 სამხედრო მოსამსახურე
საარტილერიო მომზადების სკოლა	341 სამხედრო მოსამსახურე
ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო სპეციალისტთა მომზადების სკოლა	377 სამხედრო მოსამსახურე
კავშირგაბმულობის მომზადების სკოლა	204 სამხედრო მოსამსახურე
ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრი	
სატანკო და მექანიზირებული სკოლები	409 სამხედრო მოსამსახურე

ფიგურა 8.1: ე.ს.ც. „კრწანისის“ და ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის სამხედრო მოსამსახურეების სტატისტიკა 2014 წ.

2014 წელს ამერიკელ მრჩეველთა ჯგუფის Cubic-ის აქტიური დახმარებით ეროვნული სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა ინსტრუქტორთა მომზადება/გადამზადების კურსი. 2014 წელს ინსტრუქტორთა მომზადების კურსი გაიარა 56-მა სამხედრომ. გარდა ამისა, წლის განმავლობაში ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ ქვეითი ბატალიონების მომზადება-გადამზადების ცენტრში განხორციელდა ISAF-ის და RSM-ის მისიებში პირადი შემადგენლობის გადასროლისწინა მომზადება. მომზადებულთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 2773 სამხედრო მოსამსახურე.

2014 წელს სერჟანტთა მომზადების სკოლა ჩამოყალიბდა როგორც სერჟანტთა მომზადების ცენტრი, რომელსაც მიენიჭა რუსეთ საქართველოს ომის გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელი. ამავე წელს ცენტრში ჩამოყალიბდა სერჟანტთა სამეთაურო-საშტაბო კურსი, სადაც მომზადდა 58 სამხედრო მოსამსახურე. სერჟანტთა მომზადების ცენტრის ძირითად კურსზე (ათეულის მეთაურის კურსი) მომზადდა 225, ხოლო ოცეულის სერჟანტის კურსზე - 69 სამხედრო მოსამსახურე.

გარდა ამისა, სერჟანტთა მომზადების ცენტრში ნატოს ეგიდით მიმდინარე ვიზიტით იმყოფებოდა თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) ჯგუფი. ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველოს სერჟანტთა მომზადების ცენტრმა დიდი პროგრესი განიცადა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია სერჟანტთა კორპუსის განვითარებისთვის.

საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში განხორციელდა პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის (PfP) ფარგლებში ქართველი და უცხოელი სამხედრო მოსამსახურეების სამთო მომზადება ზაფხულისა და ზამთრის პირობებში, რომელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 94 ქართველი და 74 უცხოელი სამხედრო მოსამსახურე.

2014 წელს წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობასა და დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და პარტნიორი ქვეყნებისათვის მომზადებულ სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობამ გადააჭარბა 7000 სამხედრო მოსამსახურემ.

ბრიგადების და დაქვემდებარებული დანაყოფების შტაბების პირად შემადგენლობას ჩაუტარდა სასწავლო სემინარები, რომელთა მიზანი იყო „დიდგორი 2013“-ის დროს გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი და აღმოფხვრა.

2014 წელს კრწანისის კომპიუტერულ-სიმულაციურ ცენტრში „JCATS“ სისტემის გამოყენებით ჩატარდა სამეთაურო-საშტაბო სწავლება სპეციალური ოპერაციების ძალების და დაქვემდებარებული ქვედანაყოფების შტაბების მონაწილეობით (აგვისტო-სექტემბერი).

2014 წლის ნოემბერში ჩატარდა სამთავრობო უწყებათშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორი 2014“, რომელიც მიზნად ისახავდა კრიზისული და საომარი ვითარების დროს სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტებს შორის ურთიერთქმედების დახვეწას, საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბების მართვისა და კონტროლის სისტემების გაუმჯობესებას. სწავლებაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფებთან ერთად, ჩართულნი იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო დანაყოფებიც.

საანგარიშო პერიოდში აგრეთვე ჩატარდა ინსტრუქტორთა და სამეთაურო კურსები, რომლებზეც დანიის სამეფოს შიდა გვარდიის და ესტონეთის თავდაცვის ლიგის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ დამკვირვებლისა და შემფასებლის სტატუსით. ნორვეგიის სამეფოს შიდა გვარდიის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით ჩატარდა სამეთაურო–საშტაბო სწავლება „მახვილი-2014“, ხოლო რეზერვისტთა საველე მომზადების ბანაკ „პალდოში“ ჩატარდა მსროლელ ინსტრუქტორთა კურსი. ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართველი

სამხედრო მოსამსახურეების საზღვარგარეთ სწავლების პროცესი, მათი მონაწილეობა საერთაშორისო სწავლებებსა და წვრთნებში (იხ. ფიგურები 8.2 და 8.3).

საზღვარგარეთ გავლილი კურსები	
2011	48 სამხედრო მოსამსახურე
2012	31 სამხედრო მოსამსახურე
2013	49 სამხედრო მოსამსახურე
2014	250 სამხედრო მოსამსახურე

ფიგურა 8.2: საზღვარგარეთ სწავლება გავლილი სამხედრო მოსამსახურეების სტატისტიკა

დასახელება	ადგილი	თარიღი	რაოდენობა
AGILE SPIRIT-2014	საქართველო	9-20 ივნისი	850 სამხედრო მოსამსახურე
RAPID TRIDENT-2014	უკრაინა	15-29 ივლისი	25 სამხედრო მოსამსახურე
SEA BREEZE-2014	უკრაინა	5-11 სექტემბერი	3 სამხედრო მოსამსახურე
SABER GUARDIAN-2014	ბულგარეთი	24 მარტი-4 აპრილი	7 სამხედრო მოსამსახურე
COMBINED ENDEAVOR-2014	გერმანია	25 აგვისტო - 12 სექტემბერი	10 სამხედრო მოსამსახურე
ETERNET-2014	საქართველო	22-26 სექტემბერი	63 სამხედრო მოსამსახურე
SMEP-2014	საქართველო	14-18 ივნისი	90 სამხედრო მოსამსახურე
VIKING-2014	საქართველო	1-11 აპრილი	158 სამხედრო მოსამსახურე

ფიგურა 8.3: 2014 წელს ჩატარებული საერთაშორის წვრთნები, რომლებშიც საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადმა შემადგენლობამ მიიღო მონაწილეობა

8.3. დაწყებითი სამხედრო მომზადება

საქართველოს სამხედრო განათლების პირველი საფეხური სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმია, რომელიც დაფუძნდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებით ქალაქ ქუთაისში, ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 15 სექტემბერს №72 ბრძენებით მიენიჭა „გენერალ გიორგი კვინიტაძის“ სახელი.

ლიცეუმის მიზანია კადეტთა ინტელექტუალური, კულტურული, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა, საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებისათვის ადაპტირება, სამხედრო და სამოქალაქო დონეზე ქვეყნის სამსახურისათვის მათ მოსამზადებლად საფუძველის შექმნა. კადეტებში სამხედრო სამსახურის სიყვარულის და ოფიცრის პროფესიის დაუფლებისაკენ სწრაფვის გაღვივება.

დღეს კადეტთა სამხედრო ლიცეუმი ინფრასტრუქტურითა და სწავლების დონით ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. 2014 წელს ლიცეუმი დაამთავრა 67-მა კადეტმა, მათ შორის 6 ოქროს, ხოლო 4 ვერცხლის მედალოსანია.

2014 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობდა 67 კურსდამთავრებული, რომელთაგან დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩაირიცხა 43, აშშ-ს უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში (ვესტ პოინტი) – 1, თურქეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში – 3, სამოქალაქო უმაღლეს სასწავლებელში – 18, ხოლო საზღვარგარეთის სამოქალაქო უმაღლეს სასწავლებელში – 1 კურსდამთავრებული.

2014 წელს კონკურსის გავლით ლიცეუმში ჩაირიცხა 120 კადეტი, დარეგისტრირებული 515 კონკურსანტისაგან. ამჟამად ლიცეუმში სწავლობს 284 კადეტი:

კურსი	კადეტთა რაოდენობა 2014 წ.
I. კურსი (მე-10 კლასი)	111 კადეტი
II კურსი (მე-11 კლასი)	89 კადეტი
III კურსი (მე-12 კლასი)	84 კადეტი

ფიგურა 8.4: კურსებზე დამსწრე კადეტთა რაოდენობის სტატისტიკა

სწავლება სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის და დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. სასწავლო წლის დაწყებამდე კადეტებმა გაიარეს საადაპტაციო პერიოდი: I სასწავლო კურსი - 2 კვირის ვადით, ხოლო II და III სასწავლო კურსი - 1 კვირის ვადით.

სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ I და II სასწავლო კურსებისთვის ჩატარდა სამხედრო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული და საველე მეცადინეობა, მათ შორის: თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობა (ლიცეუმი) 2 კვირის ვადით და საველე მეცადინეობა (სიმონეთი) 2 კვირის ვადით.

წლის განმავლობაში კადეტები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილ სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და კონკურსებში. 2014 წელს კონკურსებსა და ოლიმპიადებში მიღწეული წარმატებისათვის სერთიფიკატებით, დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდა 50-ზე მეტი კადეტი.

8.4. უმაღლესი სამოქალაქო და საწყისი სამხედრო განათლება

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, რადგან სწორედ ეს აკადემია ასრულებს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს თანამედროვე, პროფესიონალი და ძლიერი შეიარაღებული ძალების ფორმირებაში. ეროვნული თავდაცვის აკადემია 1919 წელს დაარსებული პირველი ქართული იუნკერთა სკოლის შთამომავალია. 2013 წელს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით აკადემიის მსმენელებს აღედგინათ „იუნკერთა“ სტატუსი.

საბაკალავრო სკოლამ 2014 წელს პრიორიტეტებად განსაზღვრა: სასწავლო პროცესის სრული ციკლის ეფექტიანი ფუნქციონირება, მართვის თანამედროვე მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვა-განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, ქვეყნის და საერთაშორისო მასშტაბით თანამშრომლობის განვითარება და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობა.

ამისათვის, საბაკალავრო სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მენეჯმენტისა და ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამებს. დაიხვეწა მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, თითოეული პროგრამისათვის განხორციელდა ცვლილებები სასწავლო კურსების სილაბუსებსა და შეფასების სისტემაში. შემუშავდა შეფასების ელექტრონული უწყისი, გამოცდების ჩატარებისა და საგამოცდო დისციპლინის წესი.

დაინერგა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის ეფექტური გამოყენების მიზნით ჩატარდა პროფესორ-მასწავლებლებისა და იუნკერების ტრენინგი; მომზადდა და აიტვირთა სასწავლო და საგამოცდო მასალები სხვადასხვა სასწავლო კურსებისათვის. პირველი კურსზე სწავლება სრულად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამის გამოყენებით.

გაუმჯობესდა საბაკალავრო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კერძოდ, მოხდა ფიზიკის ლაბორატორიული ბაზის სრულყოფა, შეიქმნა და ტექნიკურად გაიმართა კომპიუტერული ქსელების (cisco) და ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია, მომზადდა სასწავლო კურსების სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა.

წლის განმავლობაში განხორციელდა კონკრეტული აქტივობები მომავალი ოფიცრების სამეთაურო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. კერძოდ, შემუშავდა ლიდერობის განვითარების პროგრამა რომელიც არის ინდივიდუალური პირის ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული წვრთნის პროცესი. ეს პროგრამა შექმნილია ლიდერის უნარების სხვადასხვა საწვრთვნელი გარემოების პირობებში ჩამოსაყალიბებლად. პროგრამა მისცემს შესაძლებლობას იუნკერებს, განავითარონ და გააუმჯობესონ ლიდერობისათვის აუცილებელი თვისებები, რომლებიც ეფუძნება საქართველოს შეიარაღებული ძალების ფასეულობებს. ამისათვის მოხდება იუნკერების შეფასება სხვადასხვა სამეთაურო თუ საშტაბო თანამდებობებზე. ეს პროგრამა შემატებს მომავალ ოფიცრებს ლიდერობის კომპეტენციებს, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ სამხედრო თუ სამოქალაქო ცხოვრებაში.

იუნკერები, აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. 2014 წელს მათ, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩატარებულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში, გაეროსა და უნისეფის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში: „არა დისკრიმინაციას“ და „ქალი ომში“. ოთხი იუნკერი გაიგზავნა აშშ საჰაერო ძალების აკადემიაში „საერთაშორისო კვირეულზე“ მონაწილეობისათვის, ორი იუნკერი - საფრანგეთში „სან-სირის სამხედრო აკადემიაში“ სტაჟირებაზე, ხოლო სამი - თურქეთის სამხედრო აკადემიაში სასწავლებლად.

წლის განმავლობაში ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ უმასპინძლა საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს, ხელისუფლების მაღალი რანგის პირებს და უცხოელ სტუმრებს. სტუმრებმა იუნკერებისთვის და აკადემიის მსმენელებისათვის საინტერესო თემებზე ისაუბრეს, წაიკითხეს ლექციები და გამართეს დისკუსიები (იხ. ფიგურა 8.5).

ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტუმრები 2014 წელს		
იან	მწერლები **ლაშა ბუღაძე** და **დათო ტურაშვილი**	ბაკალავრიატი
თებ	ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, **გენერალი კნუდ ბარტელსი**	ბაკალავრიატი
	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ლევან წულაძე**	ბაკალავრიატი
	პარაოლიმპიელი ჩემპიონი **ქენდის ქეიბლი**	ბაკალავრიატი
	ისტორიკოსი და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი **ვლადიმერ კეკელია**	ბაკალავრიატი
მარ	აშშ-ის ევროპული ქვეითი ძალების მეთაური, **გენერალ-ლეიტენანტი რიჩარდ ტრაიონი**	კსკ, უოს
აპრ	შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **გუნტერ ბეხლერი**	ბაკალავრიატი
	გერმანელი რეჟისორი **შტეფან ტოლცი**	ბაკალავრიატი
მაი	რეჟისორი **რეზო ჩხეიძე**	ბაკალავრიატი
	საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე **მიხეილ დარჩიაშვილი**	ბაკალავრიატი
	საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი **პოლკოვნიკი კახაბერ ჩიხრაძე**	კსს
ივნ	კინორეჟისორი **ელდარ შენგელაია**	ბაკალავრიატი
	This Able Vet LLC-ის დამაარსებელი **ჯილ ჩეიმბერსი**	ბაკალავრიატი და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები
	საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი **გიორგი აბაშიშვილი**	ბაკალავრიატი
ივლ	ამერიკელი კომუნიკაციების კონსულტანტი და გადამდგარი საზღვაო ოფიცერი **ჯეფრი გორდონი**	ბაკალავრიატი
ნოე	ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე **გენერალი პატრიკ დე რუზიე**	ბაკალავრიატი

ფიგურა 8.5: ეროვნული თავდაცვის აკადემიის დამსწრე სტუმრები, 2014 წ.

8.4.1. უმცროს ოფიცერთა სკოლა

2014 წელს უმცროს ოფიცერთა სკოლაში წარმატებით ჩატარდა ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების და ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების (I საფეხური) კურსები. 2014 წელს სამხედრო განათლების კონცეფციის შესაბამისად პირველად ჩატარდა ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსი, რომელიც გულისხმობს ოფიცრის კანდიდატების მომზადებას, პირველადი სამხედრო წოდების „ლეიტენანტი“ მინიჭებას და ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების მისაღებად სპეციალიზაციის კურსებზე განაწილებას.

2014 წელს უმცროს ოფიცერთა სკოლაში დაიგეგმა და შემდგომ დაიწყო ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების მიმცემი სპეციალიზაციის კურსების (არტილერია, კავშირგაბმულობა, ჯავშანსატანკო, დაზვერვა, ლოგისტიკა, სამხედრო პოლიცია, სამხედრო-საინჟინრო კურსი) გასვლა ეროვნული თავდაცვის აკადემიის დაქვემდებარებიდან მათი წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობისთვის გადაცემის მიზნით. პროცესი დასრულდება 2015 წელს.

2014 წელს პირველად ჩატარდა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეებისათვის და სამოქალაქო პირებისათვის სამხედრო პოლიციის გადამზადების კურსი, რომლის სასწავლო პროგრამის მეორე ეტაპი განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში.

2014 წელს ჩატარებული კურსები და მომზადებული სამხედრო მოსამსახურეები:

კურსის დასახელება	მსმენელთა რაოდენობა 2014 წ.
ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსი	111 ოფიცერი
ქვეით ოფიცერთა მომზადების კურსი	80 ოფიცერი
კავშირგაბმულობის ოფიცერთა მომზადების კურსი	10 ოფიცერი
საარტილერიო ოფიცერთა მომზადების კურსი	18 ოფიცერი
სამხედრო-საინჟინრო ოფიცერთა მომზადების კურსი	8 ოფიცერი
სამხედრო-პოლიციის გადამზადების კურსი	18 ოფიცერი

ფიგურა 8.6 უმცროს ოფიცერთა სკოლის კურსები

8.4.2. კაპიტნის საკარიერო სკოლა

2014 წლის განმავლობაში კაპიტნის საკარიერო სკოლაში მიმდინარეობდა სხვადასხვა ღონისძიება სასწავლო პროგრამების ოპტიმიზაციის, ერთიანი შეფასების სისტემის დანერგვაში, ინსტრუქტორების მოზიდვისა და გადამზადების მიზნით. გაუმჯობესდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 2014 წელს სკოლა 158-მა მსმენელმა დაასრულა.

ამჟამად სწავლა მიმდინარეობს შემდეგ სპეციალობებზე და შემდეგი რაოდენობის მსმენელებით:

კურსის დასახელება	მსმენელთა რაოდენობა 2014 წ.
მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსი	36 ოფიცერი
საჰაერო თავდაცვის კაპიტნის საკარიერო კურსი	7 ოფიცერი
დაზვერვის კაპიტნის საკარიერო კურსი	7 ოფიცერი
კავშირგაბმულობის კაპიტნის საკარიერო კურსი	10 ოფიცერი
პერსონალის კაპიტნის საკარიერო კურსი	6 ოფიცერი
საინჟინრო კაპიტნის საკარიერო კურსი	4 ოფიცერი
ლოგისტიკის კაპიტნის საკარიერო კურსი	12 ოფიცერი

ფიგურა 8.7: კაპიტნის საკარიერო სკოლის კურსები

8.4.3. ავიაციის და საჰაერო თავდაცვის ოფიცერთა ძირითადი მომზადების სკოლა

2014 წელს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ოფიცერთა ძირითადი მომზადების სკოლის კურსი ავიაციის 19-მა და საჰაერო თავდაცვის 30-მა უმცროსმა სპეციალისტმა დაამთავრა. დაგეგმილია საჰაერო თავდაცვის ოფიცერთა მომზადება და ავიაციის უმცროს სპეციალისტთა სწავლების დაწყება.

8.4.4. სამეთაურო-საშტაბო სკოლა

2014 წლის იანვრის დასაწყისიდან სექტემბრის ბოლომდე, სამეთაურო-საშტაბო სკოლის ინსტრუქტორების მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოფიცრებისათვის ტარდებოდა სამეთაურო-საშტაბო მეცადინეობები. სკოლის ინსტრუქტორები მიზიდული იყვნენ ფართომასშტაბიან სწავლებებში, როგორც „ვიკინგი 2014“-ზე ასევე „დიდგორი 2014“-ზე მონაწილეობის მისაღებად. სამეთაურო-საშტაბო სკოლის ორგანიზებით ჩატარდა ორდღიანი სამეცნიერო კონფერენცია, თემაზე „საქართველო და გარე სამყარო“ და ასევე ერთობლივი კონფერენცია შავი ზღვის უნივერსიტეტთან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, თემაზე „საქართველო და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები“. ასევე, სკოლამ სშმ-ვის გამოსცა წიგნი, სათაურით „რუსეთ-საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920)“.

სკოლამ აიღო პასუხისმგებლობა ჩაატაროს ლექციების დიდი ნაწილი, 2015 წლის დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების შტაბისთვის დაგეგმილ, სამეთაურო-საშტაბო მომზადებაში. სკოლის ინსტრუქტორების უმრავლესობა სპეციალობის შესაბამისად ჩართულია გენერალური შტაბის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სხვადასხვა დოქტრინული სახელმძღვანელოების დამუშავებაზე.

2014 წლის განმავლობაში, სშმ-ის სხვადასხვა ქვედანაყოფებში ჩატარდა ლექციები სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, რაც გააგრძელდება 2015 წელსაც. 2014 წლის პირველ სექტემბერს, სამეთაურო-საშტაბო სკოლის სასწავლო პროგრამაზე ჩაირიცხა 32 სამხედრო მოსამსახურე.

8.4.5. ენობრივი მომზადების სკოლა

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ენობრივი მომზადების სკოლაში შეისწავლება ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, სპარსული და რუსული ენები. ამჟამად 420 მსმენელი გადის უცხოური ენების შესწავლის ინტენსიურ, ხოლო 26 - ნახევრად-ინტენსიურ კურსებს. ჯამში ეროვნული თავდაცვის აკადემიის ენობრივი მომზადების სკოლას 446 მსმენელი ჰყავს. ასევე ამერიკის მხარდაჭერით აკადემიის ენობრივი მომზადების სკოლაში როტაციის წესით წელიწადში ორჯერ ჩამოდიან ინგლისური ენის სპეციალისტები ინგლისური ენის სასწავლო პროგრამების განვითარების მიზნით. ენობრივი მომზადების სკოლა, ამერიკელი პარტნიორების მიერ, უზრუნველყოფილია სასწავლო მასალებით, სახელმძღვანელოებით, ხოლო სკოლის ინგლისური ენის სპეციალისტები ამერიკაში გადიან სპეციალიზაციის კურსებს.

8.4.6. ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა

2014 წელს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკის ფონდს შეემატა 1000-ზე მეტი დასახელების საბიბლიოთეკო დოკუმენტი (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გადმოცემული, შეძენილი და საჩუქრად მიღებული ლიტერატურა). კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა ხუთდღიანი ტრენინგი ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის, რომელსაც ბრიტანელი საბიბლიოთეკო საქმის ექსპერტი, პრინც კონსორტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი რეიჩელ ბრაუნი უძღვებოდა. პარტნიორი ორგანიზაციის („Innovative Systems Management“) ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა 2 ტრენინგი საბიბლიოთეკო საქმეში. განახლდა აკადემიის ბიბლიოთეკის „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის“ წლიური წევრობის ხელშეკრულება, რაც საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზასთან („EBSCO Publishing“) წვდომის საშუალებას იძლევა. მოხდა სხვა საბიბლიოთეკო ბაზასთან - „The Armed Conflict Database“ წვდომის შესაძლებლობის შეძენა. განახლდა ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებით სარგებლობის შესახებ შეთანხმება.

აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს უცხოურ სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. 2014 წელს აკადემიამ ლიტვის სამხედრო აკადემიასთან გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რის შემდეგაც ორ სამხედრო სასწავლებელს შორის შემუშავდა სამოქმედო გეგმა. მსგავსი დოკუმენტი ასევე გაფორმებულია დიდ ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსთან, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად ჩართულია აკადემიის ბიბლიოთეკის განვითარებაში. მაგალითად, 2014 წელს დიდი ბრიტანეთის დახმარებით აკადემიის ბიბლიოთეკას გადაეცა 300-მდე წიგნი და 50 პერიოდული გამოცემა.

აშშ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ოფისის (ODC) კოორდინაციით სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას ეროვნულ თავდაცვის აკადემიასთან. ამერიკელ მრჩეველთა ჯგუფის დახმარებით (GDIT), აკადემია განაგრძობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, კურიკულუმების, სილაბუსების გადახედვას, საჭირო სასწავლო მასალების მოძიებას აკადემიაში. Cubic-ის პროგრამის დახმარებით ამერიკელი მრჩევლების და ინსტრუქტორების ჯგუფის მიერ ხორციელდება აკადემიის სამეთაურო-საშტაბო სკოლის სასწავლო მოდულების გადახედვა.

ამერიკის ფორტ ბენინგის მანევრის ცენტრის მხარდაჭერით აკადემიაში მიმდინარეობს კაპიტნის საკარიერო სკოლის მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსის კურიკულუმის განახლება და იგეგმება კურსის ინგლისურ ენაზე ჩატარება, რაშიც მონაწილეობას საერთაშორისო სტუდენტებიც მიიღებენ.

2014 წელს ამერიკული მხარის დახმარებით აკადემიაში გრძელდება დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა დახმარების პროგრამის განვითარება (Wounded Warrior Program), აკადემია ამ პროგრამის ფარგლებში დაჭრილი მეომრების საზოგადოებაში ინტეგრაციის ფაზაზეა ორიენტირებული და ამ მიზნისათვის დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს სთავაზობს ინფორმატიკისა და ინგლისური ენის მეცადინეობებს, ფსიქოლოგიურ დახმარებას.

8.4.7. პროფესიული განვითარების ცენტრი

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში არსებული პროფესიული განვითარების ცენტრი აკადემიის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სშმ-ის და თავდაცვის სისტემის საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს. ამისთვის ცენტრი სწავლობს და აანალიზებს არსებულ საჭიროებებს, მათი გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს პროფესიული განვითარების პროგრამებს (კონსულტაციები, ტრენინგები, სემინარები და სხვა) და აფასებს მათ ეფექტიანობას.

ცენტრის საქმიანობას მართავს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც თავდაცვის მინისტრის მოადგილე, აკადემიის რექტორი, თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები შედიან.

პროფესიული განვითარების ცენტრი ყოველდღიურ რეჟიმში თანამშრომლობს ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამასთან (PDP). ეს პროგრამა ძირითადად საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ამ სექტორის განვითარებაზეა ორიენტირებული. პარალელურად, ის ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრის გაძლიერებაზე მუშაობს. მას შემდეგ, რაც ეს ცენტრი საკუთარ შესაძლებლობებს მაქსიმალურად სრულყოფს, ის PDP-ის ფუნქციას სრულად გადაიბარებს და საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორს დამოუკიდებლად მოემსახურება.

2014 წელს პროფესიული განვითარების ცენტრი არსებული დოკუმენტების და სამოქმედო გეგმის შესაბამისად განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. ცენტრის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების უმრავლესობა PDP-ის პროგრამისგან დამოუკიდებლად ჩატარდა. ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა კურსები, რომლებსაც თავდაცვის სამინისტროს და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლები უძღვებიან:

- კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის რისკების შემცირების კურსი;
- გენდერული თანასწორობის სემინარი;
- ადამიანური რესურსების მართვის და ორგანიზაციული განვითრების ტრენინგი;
- კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების კურსი.
- ეფექტური კომუნიკაციის კურსი.

მიმდინარეობს მუშაობა დისტანციური სწავლების სისტემის (ADL) დანერგვაზე. პროფესიული განვითარების ცენტრი ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP) კონსორციუმის დისტანციური სწავლების სამუშაო ჯგუფის წევრია. დაგეგმილია 2014 წელს ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსის ფორმატში დისტანციური სწავლების კომპონენტის ინტეგრირება. ამ კომპონენტზე მუშაობის პროცესში პროფესიული განვითარების ცენტრს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ ნატოს და პარტნიორი ქვეყნების ექსპერტები.

ცენტრი თანამშრომლობს თავდაცვის სამინისტროსა და სსიპ-ების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და უსაფრთხოების სექტორის უწყებებთან, ადგილობრივი და პარტნიორი ქვეყნების სასწავლო ცენტრებთან და საექსპერტო ჯგუფებთან.

2014 წელს პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა გაორმაგდა - სულ გადამზადდა 453 ადამიანი.

ცენტრის ბაზაზე იგეგმება თავდაცვის ინსტიტუციური განვითარების სკოლის ჩამოყალიბება. ნატოს სამუშაო ჯგუფთან ერთად მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა.

8.4.8. მონაწილეობა საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამებში

აქტიურად მიმდინარეობს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის თანამშრომლობა ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამასთან (DEEP). 2014 წელს DEEP-ეროვნული თავადაცვის აკადემიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა არაერთი დაგეგმილი ღონისძიება. მოხდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის პერსონალის, სამხედრო ინსტრუქტორების გადამზადება, 2014 წელს DEEP-ის ტრენერთა ჯგუფის მიერ ჩატარდა ტრენინგები სტუდენტთა შეფასების, კურიკულუმის დიზაინის შექმნის, აქტიური სწავლის მეთოდების დანერგვის მიმართულებით:

- სტუდენტების შეფასების სემინარი;
- საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების სემინარი;
- აკადემიის სასწავლო კურიკულუმების განვითარების სემინარი;
- ლიდერობის სემინარი აკადემიის ხელმძღვანელობისთვის;
- სემინარი თემაზე „როგორ ვასწავლოთ“.

ეროვნული თავდაცვის აკადემია 2012 წლიდან მოყოლებული თანამშრომლობდა ნატოს პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის კონსორციუმთან (PfP-C). კონსორციუმის უმაღლეს მრჩეველთა საბჭოში საქართველო როტაციის წესით არჩეული ქვეყანა იყო 2012-2014 წლებში.

2014 წელს აკადემიას სლოვაკეთის არასამთავრობო ორგანიზაციის „Center for European and North-Atlantic Affairs“-ის მხარდაჭერით გადმოეცა ინგლისურ ენაზე 100 ცალი სახელმძღვანელო „უსაფრთხოების კვლევებთან“ დაკავშირებით. აღნიშნულ სახელმძღვანელოებს აკადემიურ საქმიანობაში გამოიყენებენ ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები.

9. სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფა

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პერსონალის სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფა გულისხმობს მათთვის ღირსეული შრომის პირობების შექმნას და სათანადო დაფასებას ქვეყნის წინაშე აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისთვის. ამისათვის, სათანადო ყურადღება ეთმობა დაჭრილ მეომართა და საომარი მოქმედებისას გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახებს. საქართველოს მთავრობის ძალისხმევის შედეგად გაიზარდა ფინანსური დახმარება დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებსა და დაშავებული ჯარისკაცების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებზე.

9.1. ფინანსური მხარდაჭერა

თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე სამინისტროში შექმნილია სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განმხილველი კომისია, რომლის მუშაობის ფარგლებში ხორციელდება ისეთი ოპერაციების დაფინანსება, რომელთა დაფარვაც არ ხდება სადაზღვევო კომპანიებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური პროგრამის მიერ.

2014 წლის განმავლობაში კომისიის მიერ ხორციელდებოდა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების რეაბილიტაციისა და პროთეზირების პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა, დახმარება გაეწია მოქმედ და დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს, მათი ოჯახის წევრებს. კერძოდ, საანგარიშო წლის განმავლობაში კომისიის მიერ მომზადებული 41 ოქმის შესაბამისად დახმარება გაეწია 394 პირს, მათ შორის: 306 სამხედრო მოსამსახურეს, 77 სამოქალაქო პირს, ომისა და სამხედრო ძალების 10 ვეტერანს. სულ ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 1 957 110.00 ლარი, მათ შორის კომისიის გადაწყვეტილებით გაცემულმა თანხამ - 1 673 072.99 ლარი.

სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თავდაცვის სამინისტრო სრულად ფარავს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეთა შვილების ცერებრალური დამბლისა და აუტიზმის რეაბილიტაციის კურსს. 2014 წლის იანვრიდან აუტიზმის მიმართულებით დახმარების სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 5 668, ხოლო ცერებრალური დამბლის მიმართულებით - 29 840 ლარი.

9.2. საცხოვრებელი პირობები

2013-2014 წწ. განმალობაში, თავდაცვის სამინისტრომ საცხოვრებელი ბინები გადასცა 900 სამხედრო მოსამსახურეს, მათ შორის დაჭრილ და გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახებს. ამასთან, გაგრძელდება ინფრასტრუქტურისა და განვითარების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავენ ჯარისკაცთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მაგალითად:

- ქ. თბილისში აბაშვილის ქუჩაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განკუთვნილ 2 ბინაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

- ქ. გორში ცხინვალის გზატკეცილის მე-3 კილომეტრზე მდებარე სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებლად განკუთვნილი მშენებარე მე-4, მე-5, მე-6 სახლების დარჩენილ სამუშაოთა დასრულება.
- ქ. თბილისში აბაშვილის ქ, №3, №5-ში სამხედრო მოსამსახურის ადაპტირებისათვის საჭირო სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

9.3. სამხედრო მოსამსახურეთა კვება

საქართველოს შეიარაღებული ძალების კვებითი მომსახურების უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კვებითი მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროექტის მართვის სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის მუშაობის შედეგად შემუშავდა „რაციონალური და უსაფრთხო კვების ჰიგიენური ნორმები და სანიტარიული წესები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“. კვებითი მომსახურებისა ხარისხისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით, მომზადდა კვების ობიექტის მენეჯერის სახელმძღვანელო და შემუშავდა სასწავლო პროგრამა კვების სერჟანტების გადამზადებისთვის. კვების ობიექტებზე მომუშავე პერსონალს ჩაუტარდათ ტრენინგები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მოწოდებული „ხუთი გასაღების პრინციპის უვნებელი სურსათისათვის“ პროგრამით. უსაფრთხო კვებითი მომსახურებისთვის აუცილებელი წყალმომარაგების გამართული სისტემის უზრუნველყოფის მიზნით შესწავლილ იქნა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი სამხედრო ობიექტების წყალმომარაგების სისტემები და დაიწყო შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დავალებების შემუშავება შემდგომი შესყიდვებისა და სამშენებლო სამუშაოების გატარების მიზნით.

9.4. დაჭრილ მეომრებზე ზრუნვა

საანგარიშო პერიოდში აშშ-ში, რეაბილიტაციისა და პროთეზირების კურსზე გაიგზავნა 6 სამხედრო მოსამსახურე, რომლებსაც პროთეზირების კურსის დასრულების შემდეგ, ეტაპობრივად ჩაენაცვლება პაციენტთა შემდეგი ნაკადი. სამხედრო მოსამსახურეებს ამპუტირებული კიდურებით, დაუმზადდება გერმანული წარმოებული უახლესი ტექნოლოგიების პროთეზები.

წეროვანის პრეზიდენტის ყოფილ რეზიდენციაში, რომელიც თავდაცვის სამინისტროს გადმოეცა, გაიხსნა რეაბილიტაციის ცენტრი საომარ მოქმედებებსა და სამშვიდობო მისიებში დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. სამხედროები, ოჯახის წევრებთან ერთად, ცალკეული სამედიცინო ბატალიონის სამედიცინო პერსონალის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არიან. მათ ასევე ემსახურებიან ფსიქოლოგები და ფსიქიატრები.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №451 განკარგულების საფუძველზე, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თავდაცვის სამინისტროს გამოეყო 1 819 448.80 აშშ დოლარი სამშვიდობო მისიებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მიღებული ტრავმის შედეგად კიდურ ამპუტირებული სამხედრო მოსამსახურეებისათვის საპროთეზო და სამედიცინო მომსახურების (მიმწოდებელი - Peter Harsch Prosthestics) შესაძენად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით. ამ თანხიდან 2014 წლის 9 თვის განმავლობაში

თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს დაემატა საბიუჯეტო ასიგნებები 2 990 768.95 ლარის ოდენობით.

ამერიკულ მხარესთან, კერძოდ, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ოფისთან (ODC), ერთობლივი მუშაობის შედეგად დაგეგმილია თბილისის სარეაბილიტაციო ცენტრის განახლება და აღჭურვა უახლესი ტექნოლოგიური დანადგარებით. 2014 წელს შეიქმნა მრავალპროფილური სარეაბილიტაციო ჯგუფი (IDART – Inter Disciplinary Amputee Rehabilitation Team), რომელიც დაკომპლექტდა გორის ჰოსპიტლის, სამედიცინო დეპარტამენტისა და სარეაბილიტაციო ცენტრის სხვადასხვა მიმართულების მქონე ექიმისაგან.

2014 წლამდე სამხედრო მოსამსახურეების ფსიქოლოგიური შერჩევისა და შემოწმების მოდელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არ შეცვლილა და ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე სტანდარტებს. ამისათვის, 2014 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №588 დადგენილების სშმ-ის გენერალური შტაბის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარტამენტი. დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა საბრძოლო ოპერაციებში დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების ფსიქორეაბილიტაცია. რეაბილიტაციის პროცესში ჩართული იყო 80-მდე სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრი. დაგეგმილია საერთაშორისო სამშვიდობო მისიიდან დაბრუნებული და საბრძოლო სტრესის მქონე სამხედრო მოსამსახურეების ფსიქო–რეაბილიტაციის პროგრამაც.

9.5. ჯანმრთელობის დაცვა

სამხედრო მოსამსახურეთა და სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვისთვის სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი ახორციელებს ამბულატორულ, სტაციონარულ მკურნალობას, სამედიცინო რეაბილიტაციას, დისპანსერიზაციას და მონაწილეობს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში. ჰოსპიტალი ორგანიზებას უწევს სამხედრო-საექიმო კომისიის საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების მსურველ პირებს საბაზისო სამკურნალო საშულებებით.

საანგარიშო წლის განმავლობაში ჰოსპიტალმა, მკურნალობის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავების მიზნით, მოახდინა პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი. გარდა ამისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, მათი ოჯახის წევრების, პენსიონერებს, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებსა და სამოქალაქო პირების აღმოეჩინათ სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარება. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სამხედრო ჰოსპიტალის ულტრათანამედროვე აპარატურით (უახლესი MRI, ახალი ანგიოგრაფი, ციფრული რენტგენის აპარატი, კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატი, მაგნიტურ-რეზონანსული კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატი, ექოსკოპიის აპარატი, ლიტოტრიფტერის აპარატი) აღჭურვის კუთხით.

2014 წლის 1 მარტიდან ძალაში შევიდა სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი გაუმჯობესებული სისტემა, რომლის მიხედვით სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ყველა თანამშრომელი, თანამდებობისა და წოდების მიუხედავად სარგებლობენ ერთნაირი სადაზღვევო პაკეტით.

10. 2014 წლის ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში მომზადდა 2014 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი. განისაზღვრა თავდაცვის სამინისტროს პროგრამები: შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება; სამხედრო განათლების განვითარება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო მისიებში მძიმედ დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა პროთეზების საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თავდაცვის სამინისტროსთვის გამოიყო 2 990 769 ლარი, რომელიც მიზნობრივად გადარიცხული იქნა აშშ სამედიცინო კლინიკა Peter Harsch Prosthetics-ის ანგარიშზე.

თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივი პრინციპით ანაზღაურებაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის" შესაბამისად, 2014 წლის 1 სექტემბრიდან განხორციელდა თანამდებობრივი ანაზღაურების სისტემიდან წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლა. ფინანსური სტრესის შესამცირებლად გამოიცა საქართველოს თავდაცვის 2014 წლის 17 სექტემბრის №1293 ბრძანება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა 2014 წლის 1 სექტემბრამდე დარიცხული ხელფასის ოდენობამდე შესავსები თანხის ზღვრების განსაზღვრის შესახებ". ახალი სისტემის დანერგვის ფარგლებში ოფიცერთა შემადგენლობის ნაწილს მიენიჭა მორიგი სამხედრო წოდება, რითიც აღმოიფხვრა რიგი შეუსაბამობები და შესაბამისად გაიზარდა მათი შრომის ანაზღაურება, ხოლო რიგითთა და კაპრალ-სერჟანტთა შემადგენლობის ძირითად ნაწილს რეფორმის შედეგად მოემატა ხელფასი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, მიმდინარეობდა მუშაობა სახაზინო სამსახურის ელექტრონული მომსახურების პროგრამის სახელფასო მოდულში პირადი შემადგენლობის მონაცემების ატვირთვის მიზნით. სამუშაოები განხორციელდა უმოკლეს ვადებში და შესაბამისად სახელფასო უზრუნველყოფა ხორციელდება ხაზინის ელექტრონული პროგრამის საშუალებით, ნაცვლად ბანკის გამანაწილებელი ანგარიშისა. შედეგად, ფინანსთა სამინისტროს აქვს წვდომა ინფორმაციზე თავდაცვის სამინისტროს ნებისმიერ თანამშრომელზე გაცემული სახელფასო თანხების შესახებ.

2014 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობის ძალების (ISAF) შემადგენლობაში და ევროკავშირის ოპერაცია EUFOR RCA-ში (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა) წარგზავნილი სამხედრო მოსამსახურეების ფინანსური უზრუნველყოფის ღონისძიებები. თავდაცვის მინისტრის №41 ბრძანებით შევიდა ცვლილება თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანებაში, რომლითაც ევროკავშირის ოპერაცია EUFOR RCA-ში მონაწილე ქართულ კონტიგენტს დაუწესდა ISAF-ის მისიაში მონაწილე კონტიგენტის ანალოგიური ყოველთვიური ანაზღაურების ნორმები.

გარდა ამისა, 2014 წლის 1 მარტიდან ძალაში შევიდა სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი გაუმჯობესებული სისტემა. კვლავ სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ყველა თანამშრომელი, დაკავებული თანამდებობისა და წოდების მიუხედავად, სარგებლობს ერთნაირი სადაზღვევო პირობებით.

საბანკო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ხორციელდებოდა შესაბამისი სახელფასე პროგრამითა და პლასტიკური ბარათებით სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის უზრუნველყოფის ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა ერთიან ელექტრონულ სახელფასო პროგრამის დანერგვაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის ბოლოდან თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობს 2004-2013 წწ. პერიოდის ფინანსური აუდიტი და დოკუმენტური შემოწმება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ.

უახლოეს მომავალში იგეგმება სამეურნეო ოპერაციების სრულყოფილი ბუღალტრული რეგისტრაციისა და მმართველობითი აღრიცხვის წარმოების დანერგვა, რაც გაცილებით სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას და ზრდის ინფორმაციის სანდოობას. სრულყოფილი აღრიცხვის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს დაგეგმვის კუთხითაც. როცა ხელმისაწვდომია ზუსტი ისტორიული მონაცემები საბრძოლო და მხარდამჭერი ძალების მმართველობითი, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის ხარჯების შესახებ, მეტია ლოგიკური და რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული გათვლების გაკეთების შესაძლებლობა მრავალწლიანი დაგეგმვის ჭრილში.

ქვემოთ მოცემულია თავდაცვის 2014 წლის ბიუჯეტი ლარებში (იხ. ფიგურა 10.1).

დასახელება	2014	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
თავდაცვის სამინისტრო	626 483 722	147 983 479	147 702 812	154 880 971	175 916 459
შრომის ანაზღაურება	393 687 175	96 450 180	96 055 413	96 508 094	104 673 488
საქონელი და მომსახურება	183 701 456	43 198 921	45 359 773	46 763 050	48 379 712
სუბსიდიები	0				
გრანტები	21 932	9 120	0	2976	9 836
სოციალური უზრუნველყოფა	9 459 052	1 388 988	1 473 669	3 784 327	2 812 068
სხვა ხარჯები	10 343 593	1 499 029	1 909 814	1 777 503	5 157 247
არაფინანსური აქტივების ზრდა	28 735 620	4 902 482	2 904 143	6 045 020	14 883 975
ვალდებულების კლება	534 891	534 759	0	0	132

ფიგურა 10.1: 2014 წლის თავდაცვის ბიუჯეტი (ლარი)

მოსამსახურეებს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ჩაუტარდათ ტრენინგების კურსი „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერია“. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კერძო და იურიდიულ პირებზე ხდებოდა ინფორმაციის გაცემა საფინანსო საკითხებზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, თავდაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად ხორციელდებოდა თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის განახლება პროაქტიული ღონისძიებების

კუთხით, რომელიც მოიცავს როგორც სამინისტროს საბიუჯეტო პარამეტრებს, ასევე ხარჯვით ნაწილს.

ქვემოთ მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტი და თავდაცვის ბიუჯეტი (იხ. ფიგურა 10.2).

წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
მთლიანი შიდა პროდუქტი (მლნ ლარი)	9824	11621	13790	16994	19075	17986	20743
თავდაცვის ბიუჯეტი (მლნ ლარი)	172	367	684	1495	1547	869	728
თავდაცვის ბიუჯეტის % მთლიანი შიდა პროდუქტიდან	1,8%	3,2%	5,0%	8,8%	9,1%	4,8%	3,5%

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მთლიანი შიდა პროდუქტი (მლნ ლარი)	24344	26167	26824	29152	32140	35264	38506
თავდაცვის ბიუჯეტი (მლნ ლარი)	728	734	661	626	640	730	760
თავდაცვის ბიუჯეტის % მთლიანი შიდა პროდუქტიდან	3,0%	2,8%	2,5%	2,1%	2,0%	2,1%	1,98%

ფიგურა 10.2: მშპ (საბაზისო წელი მონაცემებისთვის 2011) და თავდაცვის ბიუჯეტი

11. ინსტიტუციური ცვლილებები

გრძელდება თავდაცვის სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი გეგმაზომიერი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული გულისხმობს როგორც ინოვაციების დანერგვას, ისე თავდაცვის სისტემაში არსებული, მოქმედი მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მათ გადახედვას ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

11.1. კანონმდებლობა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აქტიურად მიმდინარეობს თავდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის გადახედვის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მოქმედი კანონების განახლებას, მათში აუცილებელი ცვლილებების შეტანას და თავდაცვის სფეროსთვის მიკუთვნებული საკითხების უკეთ რეგულირებას.

საქართველოს თავდაცვის სისტემის საქმიანობის გაუმჯობესებისა და ინსტიტუციური რეფორმების მხარდასაჭერად საანგარიშო წლის პერიოდში მომზადდა შემდეგი კანონპროექტები:

2014 წ. მიღებული კანონები	2014 წ. წარდგენილი კანონპროექტები
1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.	1. „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.
2. „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.	2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
3. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.	3. „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
4. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.	4. „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
5. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.	5. „საართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
6. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე - 2 (კანონი).	6. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
7. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე - 2 (კანონი).	7. „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.	8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

ფიგურა 11.1: 2014 წელს დამტკიცებულ და განსახილველ კანონპროექტთა ნუსხა

11.2. კიბერუსაფრთხოება

კიბერსაფრთხეების პრევენციისა და მათზე სათანადო რეაგირების მექანიზმების შემუშავების მიზნით, სამინისტროში შეიქმნა სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო.

2014 წელს კიბერუსაფრთხოების ბიუროს მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტი 2014-2016 წლებისთვის. დოკუმენტი განმარტავს საქართველოს თავდაცვის სფეროს მიდგომებსა და პრიორიტეტებს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით და განსაზღვრავს ყველა იმ სტრატეგიულ მიზანს, რომელთა აღსრულებაც განაპირობებს თავდაცვის სფეროს საიმედო, ეფექტურ, სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას. დოკუმენტის განახლება ხდება კიბერსივრცეში მომხდარი ცვლილებებისა და მათი გავლენით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით. „კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა კიბერუსაფრთხოების განვითარების სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეიქმნა ბიუროს ლოკალური ინფორმაციული ქსელი და განხორციელდა მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ქსელის აქტიური მოწყობილობების, სასერვერო აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევა/გამართვა; 24/7 რეჟიმში ამუშავდა კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საკომუნიკაციო მომსახურების განყოფილება; ჩატარდა სამხედრო ქალაქ №1-ის „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემების უსაფრთხოების ხარისხისა და შეღწევადობის შესწავლა-შეფასება“.

განხორციელდა ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების აუდიტის საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრს წარედგინა ანგარიში არსებულ სისუსტეებზე, სავარაუდო საფრთხეებსა და ინფრასტრუქტურის დაცულობის ხარისხზე.

2014 წლის განმავლობაში ბიუროს მიერ შემუშავებულ და საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ იქნა ნორმატიული აქტი „ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კიბერუსაფრთხოების ბიუროს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის შესახებ“ და „ინფორმაციული აქტივების მართვის წესების დამტკიცების შესახებ“. აგრეთვე, მომზადდა და დამტკიცდა ბრძანება „ქსელური სენსორის კონფიგურაციის წესის დამტკიცების შესახებ“.

კიბერუსაფრთხოების ბიუროს საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობების განვითარება საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის, ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) მხარდაჭერითა და თავდაცვის ეროვნული აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრის (PDC) ორგანიზებით გაიმართა ორი სემინარი (ცნობიერების ამაღლება კიბერუსაფრთხოების სფეროში; კიბერუსაფრთხოება, როგორც ერთიანი პასუხისმგებლობა). სემინარის მიზანს წარმოადგენდა სამთავრობო და კერძო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და გაღრმავება კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.

ბიუროს საქმიანობის გაცნობის და კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარების სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის მიზნით, საანგარიშო პერიოდის

განმავლობაში ბიურომ განახორციელა რამდენიმე შეხვედრა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან და საქართველოში აკრედიტებულ თავდაცვის ატაშეებთან.

2014 წელს, ბიუროს ინფრასტრუქტურის გამართვის მიზნით, განხორციელებულ 13 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე გაფორმდა ხელშეკრულებები, რომელთა საერთო თანხამ შეადგინა 150 980 ლარი.

11.3. თავდაცვის მატერიალური რესურსების მართვა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის შემდგომი ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

შემუშავდა და დამტკიცდა თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს პროგრამულ სტრუქტურას 2015–2018 საბიუჯეტო წლებისათვის საპროგნოზო ფინანსური „ჭერის“ და პირადი შემადგენლობის ზღვრული რაოდენობის შესაბამისად და მოიცავს შესაბამის რეკომენდაციებსა და მითითებებს პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის.

2014 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და დადგენილი ფორმით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის“ დანართები და 2015 წლის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავდა თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების 5 პროგრამას:

1. შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება:
   - შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება;
   - საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება;
   - ინფრასტრუქტურის განვითარება.
2. სამხედრო განათლების განვითარება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
4. თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;
5. კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2014 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ პირველად შეიმუშავა „თავდაცვის ინტეგრირებული პროგრამა 2015-2018“ (საპილოტე), რომელიც წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის პროგრამების ერთობლიობას და მიზნად ისახავს თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების მხარდაჭერას. დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოს შეიარაღებული ძალების 2016-2018 წლების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს. თავდაცვის ინტეგრირებული პროგრამა 2015-2018 ასევე მოიცავს გასული წლების საბიუჯეტო დინამიკას, მთლიან შიდა პროდუქტთან თავდაცვის ბიუჯეტის მიმართებას და სამომავლო ტენდენციებს.

თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, თავდაცვის სამინისტრომ ამერიკის მრჩეველთა ჯგუფ Cubic-თან ერთად განახორციელა 2014 წლის განმავლობაში პროგრამული ბიუჯეტის პროცესში მიღებული გამოცდილების ანალიზი. შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2016 წლის თავდაცვის ინტეგრირებული პროგრამის შემუშავების პროცესში და აისახება დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სახელმძღვანელოში.

საპილოტე რეჟიმში შემუშავდა პროგრამების მემორანდუმის პროექტი, რომელიც მოიცავს თავდაცვის პროგრამებს და პროგრამებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ღონისძიებებს. მათ შორის: მოთხოვნებს, სავარაუდო შედეგებს, დაუფინანსებლობასთან დაკავშირებულ რისკებს და სავარაუდო ფინანსურ გათვლებს.

აგრეთვე, შემუშავდა „დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სახელმძღვანელოს“ პროექტი. დოკუმენტი განსაზღვრავს თავდაცვის რესურსების მართვის სისტემაში ჩართული სტრუქტურული ქვედანაყოფების და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს.

11.4. შიდა აუდიტი

2014 წელს თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, რომელიც ხელს უწყობს სისტემის ფარგლებში ეფექტიანობის, პროდუქტიულობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდას. შიდა აუდიტის დეპარტამენტის საქმიანობისთვის შეიქმნა შესაბამისი ნორმატიული ბაზა, შემუშავდა სახელმძღვანელო და დეპარტამენტის სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტები. დეპარტამენტი დამოუკიდებელი და ობიექტური მიდგომით განახორციელებს თავდაცვის სისტემაში რისკების მართვის, შიდა კონტროლისა და მართვის სისტემების შეფასებასა და პროცესების გაუმჯობესების მიზნით გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს, რაც ხელს შეუწყობს სამინისტროს დასახული ამოცანების განხორციელებაში.

ამასთან, საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე შექმნილი შიდა აუდიტის დეპარტამენტის ფუნქციონირება უზრუნველყოფს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულების - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესრულებას.

11.5. გენერალური ინსპექცია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია თავდაცვის სისტემაში შიდა უწყებრივ კონტროლზეა პასუხისმგებელი. მისი ძირითადი ფუნქციებია სამინისტროს სისტემაში გამოვლენილ კანონდარღვევებსა და სამსახურებრივ გადაცდომებზე შესაბამისი რეაგირება, დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენა და პრევენცია. გენერალური ინსპექციის „ცხელი ხაზი“ მოქმედებს 24 საათიან რეჟიმში, რომლის მეშვეობითაც სამხედრო მოსამსახურეები გენერალურ ინსპექციას აწვდიან საჩივრებსა და მოსაზრებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

11.6. ინფორმაციული ტექნოლოგიები

შემუშავდა თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი. დოკუმენტი აერთიანებს შემდეგ საკითხებს:

- საქართველოს თავდაცვის სამინსიტროს სტრუქტურული ერთეულების, მასში შემავალი საჯარო სამართლის იურიდული პირების, შეიარაღებული ძალების და მისი ქვედანაყოფების საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოლიტიკა;
- სერვისების და კომპიუტერული მოწყობილობების მუშაობის წესი;
- კომპიუტერული ქსელის მუშაობის წესი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოხელეთა, შტატგარეშე მოსამსახურეთა, პრაქტიკანტთა, სტაჟიორთა და მოვლინებულ პირთა საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემების და მოწყობილობების წესი;
- საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის წესი;
- კომპიუტერულ ქსელში მომხმარებლის სახელის, პაროლისა და ქსელის რესურსებზე წვდომის წესი;
- საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემების და მასში შემავალი მოწყობილობების ტექნოლოგიური უზრუნველყოფის წესი.

ამასთანავე, შეიქმნა და დაინერგა ფსიქოლოგიური შეფასებისა და მონიტორინგის ელექტრონული პროგრამის და სისტემური ელექტრონული ლექსიკონის პირველადი ვერსია. განხორციელდა ათივე კლასის სასაქონლო მარაგების ჩამონათვალის თავმოყრა და არაქართული ტერმინოლოგიის და ტერმინების ჩანაცვლება ქართული ტერმინებით. მოხდა მარაგების ჩამონათვალის კლასიფიცირება თითოეული კლასის მიხედვით და მათი თავმოყრა ერთიან ელექტრონულ ფორმატში.

11.7. უწყებათშორისი თანამშრომლობა

ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების წინაშე მდგარი პრობლემების, გამოწვევების თუ სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის მიზნით, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნის შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან. 2014 წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების წარმომდგენლები ჩართულნი იყვნენ შემდეგი უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში:

- **ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინებელი მუდმივმოქმედი უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი** - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან არსებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათშორისი კომისიის წევრი. კომისიის ფარგლებში შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებში მოხდა საფრთხეების შეფასების დოკუმენტის განახლება.
- **საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის შემუშავების უწყებათშორის სამუშაო ჯგუფი** - 2014 წლის 14 იანვარის საქართველოს მთავრობის №49 დადგენილების

თანახმად საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შედის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის შემმუშავებელი უწყებათშორის საბჭოს შემადგენლობაში, რომელსაც კოორდინაციას უწევს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო. სამუშაო ჯგუფის ფორმატში შემუშავდა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგია“ და მისი „სამოქმედო გეგმა“.

- **„საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის“ და „საქართველოს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2015-2016“ დოკუმენტის შემუშავებაზე უწყებათშორის ფორმატი** - თავდაცვის სამინისტრომ აქტიურად არის ჩართული უწყებათშორისი თანამშრომლობის ფორმატში, რომლის ერთ-ერთ (მე-12) პრიორიტეტად განსაზღვრულია კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში. 2014 წელს თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა მე-12 პრიორიტეტის ქვეპრიორიტეტები.
- **ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო** - აღნიშნულ სამუშაო ფორმატში განხორციელდა „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია 2014-2016“-ის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტის შემუშავება.
- თავდაცვის სამინისტრო ჩართული იყო **„ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაქტიულ და ბირთვულ საფრთხეებსა და მათი მავნე ზემოქმედების მართვის საკითხებზე“** (CSCM – World Congress on CBRNe Science & Consequence Management) საერთაშორისო კონგრესის ორგანიზებაში, რომელიც ჩატარდა საქართველოში.

12. საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან, ნატოსთან, ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და მომავალშიც გააგრძელებს ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას.

12.1. თანამშრომლობა ნატოსთან

ნატოში გაწევრიანება საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმებით განსაზღვრული ამოცანების წარმატებით შესრულებას საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლებისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის. 2014 წელს საქართველომ ნატოში ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი - 2104 წლის 11-12 თებერვალს საქართველოში ნატოს სამხედრო კომიტეტის პირველი ვიზიტი განხორციელდა, კომიტეტის თავმჯდომარის, გენერალ კნუდ ბარტელსის ხელმძღვანელობით. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სამხედრო კომიტეტის სხდომა 28+1 ფორმატში, სადაც განხილულ იქნა საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის ტრანსფორმაციის, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს წვლილისა და ნატო-საქართველოს სამომავლო სამხედრო თანამშრომლობის საკითხები. სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ ორმხრივი შეხვედრები გამართა საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, თავდაცვის მინისტრთან და გენერალური შტაბის უფროსთან. აღსანიშნავია, რომ ალიანსის მაღალი რანგის სამხედრო პირებმა განსაკუთრებით დადებითად შეაფასეს თავდაცვის რეფორმები და ხაზი გაუსვეს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი - 2014 წლის 4-5 სექტემბრის ნატოს უელსის სამიტის გადაწყვეტილების თანახმად, საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (Substantial NATO-Georgia Package), რომელიც წარმოადგენს თანამშრომლობის ახალ ფორმატს და მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას, უსაფრთხოების განმტკიცებასა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას. საქართველო ჩაერთო ნატოს ახალ „პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივაში“ (Partnership Interoperability Initiative). საქართველო აღიარებულ იქნა ალიანსის ერთ-ერთ ყველაზე თავსებად პარტნიორ სახელმწიფოდ შვედეთთან, ფინეთთან, ავსტრალიასა და იორდანიასთან ერთად და მიწვეულ იქნა „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორების“ ჯგუფში (Enhanced Opportunities Partners group).

აღნიშნული სტატუსი საქართველოს შესაძლებლობას აძლევს კიდევ უფრო დაუახლოვდეს ალიანსს - ადრეულ ეტაპზე ჩაერთოს ნატოს ოპერაციების და წვრთნების დაგეგმვის პროცესში,

აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ნატოს წვრთნებში, წვლილი შეიტანოს ალიანსის სტრატეგიულ განხილვებში და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ის ინფორმაცია, რაც საქართველოსთვის აქამდე არ იყო ხელმისაწვდომი.

არსებითი პაკეტი ითვალისწინებს ნატოს შეკავშირებული ძალების ინიციატივის მხარდასაჭერად ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის დაარსებას, ნატოსთან თავსებადი ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარებას და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დაარსებას. ასევე, შეიარაღებული ძალების რეფორმის მნიშვნელოვანი მიმართულებების მხარდაჭერას, როგორიცაა სამხედრო პოლიცია, კიბერუსაფრთხოება, სპეციალური ოპერაციების ძალები და სხვა.

პაკეტის დროული და ეფექტური განხორციელება წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს.

არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ინიციატივების განხორციელების კოორდინაციას და მონიტორინგს უზრუნველყოფს ნატოს ექსპერტებით დაკომპლექტებული ძირითადი ჯგუფი (NATO Core Team), ხოლო თითოეული ინიციატივის განხორციელებაში ქართულ მხარეს დახმარებას გაუწევენ ნატოს წევრი ქვეყნების მრჩევლები.

უელსის სამიტის შემდგომ დაიწყო აქტიური კონსულტაციები ნატოს შტაბბინის საერთაშორისო და სამხედრო სამსახურების წარმომადგენლებთან და წევრ ქვეყნებთან პაკეტით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად. თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა პაკეტის განხორციელების კონცეფცია, განისაზღვრა ნატოს ჯგუფის წევრების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პაკეტით გათვალისწინებული მიმართულებების განხორციელების დეტალური პროექტები. აღნიშნული დოკუმენტები წარედგინა ალიანსის წევრ ქვეყნებს. ასევე განისაზღვრა ქართველი კოორდინატორი და თითოეული პროექტის ქართველი ლიდერი.

12.1.1. ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატები

2014 წლის განმავლობაში საქართველო წარმატებით თანამშრომლობდა ალიანსთან ყველა არსებული მექანიზმის ფარგლებში:

- **ნატო-საქართველოს კომისია (NGC)** – 2014 წელს თავდაცვის საკითხებზე ნატო-საქართველოს კომისიის ოთხი სხდომა გაიმართა.

- **ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) თავდაცვის ნაწილი** – 2014 წლის იანვრის ბოლოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა 2014 წლის ყოველწლიური ეროვნული პროგრამის სამუშაო შეხვედრა (ANP Workshop), რომლის დროსაც ნატოს სტრუქტურებისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს წარედგინათ ყოველწლიური ეროვნული პროგრამის 2014 წლის ვალდებულებები. დოკუმენტის სამუშაო ვერსია ასევე განიხილეს ნატოს შტაბ-ბინაში ალიანსის წევრ ქვეყნებთან და ნატოს რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, თებერვალში ყოველწლიური ეროვნული პროგრამა დამტკიცდა ეროვნულ დონეზე. აგვისტოში ნატოს შტაბ-ბინაში გაიგზავნა 2014 წლის ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (თავდაცვის ნაწილი) ვალდებულებების

შესრულების შესახებ მოხსენება. შემოდგომაზე განხორციელდა ნატოს შემფასებელთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 2014 წლის ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების შეფასების დოკუმენტის განხილვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ 2014 წელს შესრულებული ვალდებულებები წარმატებით შეფასდა ალიანსის მიერ.

- **დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი (PARP)** – 2014 წლის გაზაფხულზე ნატოს შემფასებელთა ჯგუფის ვიზიტის დროს განხორციელდა დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP) ფარგლებში 2014-16 წლებისთვის პარტნიორობის მიზნების გადახედვა და განისაზღვრა ნატოსთან თანამშრომლობის ახალი სფეროები თავდაცვის პრიორიტეტებისა და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის რეკომენდაციების შესაბამისად. 2014 წლის ივლისში შეივსო დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის პარტნიორების მიზნების შესრულების ანგარიში, რომელიც აგვისტოში წარედგინა ნატოს მხარეს. 2014 წლის შემოდგომაზე განხორციელდა ნატოს შემფასებელთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის შეფასების დოკუმენტის განხილვის მიზნით.

- **ნატოს სამხედრო კომიტეტი + საქართველოს სამუშაო გეგმა (MC+GEO Work Plan)** – აღნიშნული თანამშრომლობის ინსტრუმენტი განსაზღვრავს ნატო-საქართველოს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის მთავარ ამოცანებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს. 2014 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ნატოს საერთაშორისო სამხედრო სამსახურის (IMS) წარმომადგენლებთან ერთად გაიმართა ნატოს სამხედრო კომიტეტის + საქართველოს 2014-2016 წლის სამუშაო გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვა.

- **ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა (IPCP)** – პროგრამა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის პროფესიულ განვითარებას და აღებული ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერას ისახავს მიზნად. პროგრამა სხვადასხვა სახის მოკლევადიან კურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, სწავლებებში, წვრთნებში, სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში მონაწილეობას ითვალისწინებს, რომლებიც ხელს უწყობენ პარტნიორობის მიზნებისა და ყოველწლიური ეროვნული პროგრამის შესრულებას. 2014 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 167 ღონისძიება.

- **ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP)** – პროგრამა მიზნად ისახავს ეროვნული თავდაცვის აკადემიასთან არსებული პროფესიული განვითარების ცენტრის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას. 2014 წელს ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის და პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა კურსები, ტრენინგები და კონფერენციები კიბერუსაფრთხოების, თავდაცვის მართვის, კეთილსინდისიერების ამაღლების და კორუფციის რისკების შემცირების, სტრატეგიული კომუნიკაციების, ფინანსების მართვის და შიდა აუდიტის საკითხებზე. 13-17 მაისს კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებისთვის გაიმართა ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი.

- **ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა (DEEP)** – ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა ეროვნულ თავდაცვის აკადემიასთან მჭიდროდ თანამშრომლობს. თანამშრომლობა განსაკუთრებით ინტენსიური 2013 წლიდან გახდა, როცა ეროვნულ თავდაცვის აკადემიასა და DEEP-ს შორის შემუშავდა სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები და მათი განხორციელების ვადები. DEEP-ი ეროვნული თავდაცვის აკადემიას სხვადასხვა მიმართულებით უწევს დახმარებას: აკადემიური პერსონალის, სამხედრო ინსტრუქტორების გადამზადება; აქტიური სწავლის მეთოდების დანერგვა; კურიკულუმების განვითარება; სტუდენტთა შეფასება; დისტანციური სწავლის მეთოდის დანერგვა აკადემიაში. DEEP-ის ტრენერთა ჯგუფის გადაწყვეტილებით აკადემიის ორი თანამშრომელი არჩეული არიან საერთაშორისო ტრენერთა ჯგუფის წევრებად და მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ/მრავალეროვნულ სემინარებში.

- **ნატოს გონივრული თავდაცვის ინიციატივა (Smart Defence Initiative)** – საქართველო მონაწილეობს ნატოს გონივრული თავდაცვის ინიციატივის რამდენიმე საერთაშორისო პროექტში. პროექტების ხელმძღვანელ ქვეყნებთან მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაციები აღნიშულ პროექტებში თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობის ასპექტების დასაზუსტებლად.

- **ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის ნდობის ფონდი (NATO/PfP Trust Fund)** – 2014 წლის მარტში ხელი მოეწერა ნატოს ნდობის ფონდის ფარგლებში საქართველოსა და ნატოს უზრუნველყოფის ორგანიზაციას (NSPO) შორის პროექტ „საქართველოს IV“-ის განხორციელების შეთანხმებას. 2014 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა პროექტ „საქართველო IV“-ის ოფიციალური გახსნის ცერემონია. პროექტი წარმატებით ხორციელდება და ითვალისწინებს სკრის ყოფილი სამხედრო საცავის გასუფთავებას და შეიარაღებული ძალების გამნაღმველთა (EOD) ასეულის გაწვრთნას ჰუმანიტარული განაღმვის საერთაშორისო სტანდარტების მე-3 და მე-4 დონეების მიხედვით.

12.1.2. ნატოს ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში მონაწილეობა

საქართველო აგრძელებს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას. ISAF-ის ოპერაციაში, 2009-დან 2014 წლის ჩათვლით მონაწილეობა მიიღო 12000-ზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ. აღსანიშნავია, რომ საქართველო 2016 წლამდე აგრძელებს ალიანსთან ერთად ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (Resolute Support Mission) მონაწილეობას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მონაწილეობს ნატოს შეკავშირებული ძალების ინიციატივაში ნატოსთან თავსებადობის ამაღლების მიზნით. 2015 წლიდან საქართველოს ერთი ქვეითი ასეული ჩართული იქნება ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში. 2014 წლის ზაფხულში აღნიშნულმა ასეულმა წარმატებით გაიარა ნატოს შეფასება და სერტიფიცირების პროცესი.

12.1.3. ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის გაცვლა და დაცვა

ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა თავდაცვის სამინისტროში მომზადებული ორი მნიშვნელოვანი დადგენილება:

- საქართველოს მთავრობის №274 დადგენილება „საქართველოში ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პასუხისმგებელი ორგანოებისა და მათი საქმიანობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელ ორგანოებს: ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანო (NSA - National Security Authority), ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის საკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალებებით დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო (NCSA - National Communication Security Authority), ნატოს კრიპტოგრაფიული მასალის დისტრიბუციაზე პასუხისმგებელი ორგანო (NDA - National Diatribution Authority), უსაფრთხოების აკრედიტაციის ორგანო (SAA - Security Accreditation Authority), ცენტრალური რეგისტრი (Central Registry) და ერთიანი კოორდინირებული რეგისტრების სისტემაში ჩართულ დაწესებულებებს/ორგანოებს, მათ ფუნქცია-მოვალეობებს, ქვერეგისტრების დაარსების წესსა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

- საქართველოს მთავრობის №383 დადგენილება „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან მუშაობის ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ნატოს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან დასაშვები კანდიდატის წარდგენის წესს, მის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვასა და შემოწმების კრიტერიუმებს, ასევე აღნიშნულ ინფორმაციასთან მუშაობის ნებართვის გაცემის, განახლების, შეჩერების ან შეწყვეტის პროცედურებს. ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების დეპარტამენტში შეიქმნა ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, რომელშიც ასახულია დეტალური ინფორმაცია ნატოს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან დაშვებულ პირთა შესახებ და მონაცემები დაშვების სერთიფიკატების გაცემის, შეჩერების, გაუქმების ან მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკის დირექტივებისა და ალიანსის წევრი ქვეყნების კანონმდებლობების გათვალისწინებით თავდაცვის სამინისტროში შემუშავდა ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების წესის (Security of Infromation), ნატოს საკომუნიკაციო სისტემებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების წესისა (CIS Security) და ფიზიკური უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების (Physical Security) პროექტები, რომლებიც უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად.

ამასთან ერთად, გრძელდება ახალი ქვერეგისტრების შექმნის პროცესი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროში ქვერეგისტრების დაარსებით, ქვეყნის მასშტაბით ქვერეგისტრების საერთო რაოდენობა გაიზარდა 19–მდე. სხვადასხვა უწყებებში, ქვედანაყოფებსა და სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე განახლდა თანამდებობათა ნომენკლატურები.

გარდა ამისა, 2014 წ. ივლისში შედგა ნატოს უსაფრთხოების ოფისის (NATO Office of Security) წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში, რომლის ფარგლებში ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ჩატარდა საქართველოში არსებული

ცენტრალური რეგისტრისა და ქვერეგისტრების ინსპექტირება და ასევე „ყოველწლიური ეროვნული პროგრამის“ IV თავით (Annual National Program Chapter IV: Security Issues) განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შეფასება.

გრძელდება ბრიფინგებისა და პრეზენტაციების ჩატარება, იმ პირებთან, რომელთაც მიეცათ ნატოს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან მუშაობის ნებართვა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვან გამოწვევად გამოვლინდა შესაბამისი საკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების ნორმებისა და სტანდარტების იმპლემენტაცია, სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა. ასევე, გამოწვევაა ქართული საკანონდებლო ბაზის მაქსიმალური ჰარმონიზება ნატოს წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებასთან.

12.2. თანამშრომლობა ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო წარმატებულად თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან, ნატოსთან, ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. 2014 წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტრო ჩართული იყო მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებაში.

12.2.1. თანამშრომლობა ევროკავშირთან

2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა, ხოლო ივლისში საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირება გაუკეთდა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ჩათვლით). აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე შემუშავდა ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს მოკლევადიან პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

2014 წელს, ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით, განისაზღვრა თავდაცვის სამინისტროს მიერ 2015 წელს განსახორციელებელი ღონისძიებები. ამასთან ერთად, ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში (ENP) მომზადდა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს გაეგზავნა 2014 წლის ანგარიში თავდაცვის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების განხორციელების შესახებ.

ევროკავშირის ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოებისა პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში 2014 წელს შემუშავდა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის სამუშაო გეგმა, რომლის განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურებს (EEAS) შორის აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა და ამ კუთხით ხაზგასასმელია 2014 წლის ნოემბერში ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის გენერალ პატრიკ დე რუზიეს პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ოქტომბრიდან აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ევროკავშირთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული დოკუმენტის

გაფორმებაზეც, რომლის ხელმოწერაც დაგეგმილია 2015 წელს. აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერა უზრუნველყოფს ევროკავშირთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

12.2.2. CSDP-ის ფარგლებში კრიზისების მართვის ოპერაციებში მონაწილეობა

2013 წლის 29 ნოემბერს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა ჩარჩო შეთანხმება საქართველოს ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ, რომელიც საქართველოს აძლევს საშუალებას წვლილი შეიტანოს ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო მისიებში.

ქართული სამშვიდობო ასეული მონაწილეობას იღებდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე მისიაში 2014 წლის ივნისიდან 31 დეკემბრამდე. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში არსებული უსაფრთხოების სიტუაციიდან გამომდინარე და ევროკავშირის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება ხსენებულ მისიაში ჩართულობის გახანგრძლივების თაობაზე და 2014 წლის 9 დეკემბერს, ორი ქართული ოცეული გაემგზავრა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, რომელიც დაასრულებს მისიას 2015 წლის 15 მარტს.

მისიის დასრულების შემდგომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ახალ სამხედრო მრჩეველთა მისიაში საქართველო მონაწილეობას გააგრძელებს 5 სამხედრო მოსამსახურით.

გარდა ამისა, 2015 წელს დაგეგმილია ოფიცრის გაგზავნა ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში მალიში (EUTM Mali) მონაწილეობის მისაღებად.

12.2.3. თანამშრომლობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

საქართველო წარმატებით თანამშრომლობს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო). ყოველ საანგარიშო წელს, მთელი წლის განმავლობაში საქართველოს ეუთოს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ფორუმის (FSC) გადაწყვეტილებების შესაბამისად, თავდაცვის უწყებაში მუშავდება და ეუთოში გავრცელების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში იგზავნება ყოველწლიური სამხედრო გაცვლითი ინფორმაცია. აგრეთვე ძალაში შევიდა საქართველოსა და ეუთოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი „წვრილი და კონვენციური შეიარაღების და საწყობების პროგრამა“. პროგრამა ხუთწლიანია და მოიცავს:

- ჭარბი მცირე და მსუბუქი შეიარაღების და ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის მარაგების განადგურების პროექტებს;
- მომავალი ჭარბი მცირე და მსუბუქი შეიარაღების და ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის მარაგების განადგურებისათვის ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარებას;
- საქართველოს კანონმდებლობის დახვეწას მცირე და მსუბუქი შეიარაღების და ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის მარაგების შესახებ;
- საქართველოში მცირე და მსუბუქი შეიარაღების და ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის მარაგების უსაფრთხოებისა და მართვის გაუმჯობესებას.

ყოველ საანგარიშო წელს, მთელი წლის განმავლობაში გაეროს შესაბამისი სამსახურების მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია თავდაცვის უწყებაში მუშავდება და გაეროში გავრცელების მიზნით

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში იგზავნება ყოველწლიური გაცვლითი ინფორმაცია.

2014 წლის მაისში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს (ICRC) შორის „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ცოდნის გავრცელებისა და ინტეგრაციის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე“. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში შემუშავდება სამუშაო გეგმა, რომლის განხორციელება იგეგმება 2015 წლის განმავლობაში.

12.3. ორმხრივი ურთიერთობები

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და საგარეო და უსაფრთხოების პრიორიტეტული მიზნების მიღწევის მიზნით, თავდაცვის სამინისტრო ინტენსიურად თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან და ავითარებს ორმხრივ ურთიერთობებს ახალ პარტნიორებთან.

ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისთვის რეგულარულად ხორციელდება მინისტრის, მოადგილეებისა და სხვა მაღალი დონის თანამდებობის პირების ვიზიტები. ამ ვიზიტების დროს შეხვედრებზე განიხილება თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი საკითხები. 2014 წლის საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების მიერ სულ განხორციელდა 60-მდე მაღალი დონის ვიზიტი.

2014 წლამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ორმხრივ ფორმატში თანამშრომლობდა 19 ქვეყანასთან. 2014 წელს თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა ავღანეთთან, სლოვაკეთსა და მოლდავეთთან. ამასთან ერთად, გაფორმდა ორმხრივი თანამშრომლობის გეგმები უნგრეთთან და მოლდავეთთან. ამ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ორმხრივ ფორმატში თანამშრომლობს 22 ქვეყანასთან (ამერიკის შეერთებული შტატები; აზერბაიჯანის რესპუბლიკა; ბულგარეთი; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; დანიის სამეფო; დიდი ბრიტანეთი; ესტონეთი; თურქეთის რესპუბლიკა; იტალიის რესპუბლიკა; ლატვია; ლიტვა; მოლდოვა; ნორვეგიის სამეფო; პოლონეთი; რუმინეთი; საბერძნეთის რესპუბლიკა; საფრანგეთის რესპუბლიკა; სომხეთის რესპუბლიკა; უკრაინა; უნგრეთის რესპუბლიკა; შვედეთის სამეფო; ჩეხეთის რესპუბლიკა).

ორმხრივი თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებთან მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან მიმართულებებს:

- პროფესიული სამხედრო განათლება და წვრთნები;
- სტრატეგიული დაგეგმვა;
- პერსონალის მართვა;
- რადიოლოგიური, ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვა;
- სამხედრო მედიცინა;
- ლოგისტიკა;
- რეზერვი და მობილიზაცია;
- სპეციალური ოპერაციების ძალები;
- ჰუმანიტარული განაღმვა;

- დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა მკურნალობა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
- სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობა.

ქართული მხარის ინიციატივით დაიწყო სამმხრივი სამხედრო თანამშრომლობა საქართველოს, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის. 2014 წლის აგვისტოში აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გაიმართა პირველი თავდაცვის მინისტერიალი სამმხრივ ფორმატში. ასევე 2014 წელს, კონსულტაციების შედეგად დაიგეგმა ორმხრივი თანამშრომლობის დაწყება იტალიასთან, ალბანეთთან, ნიდერლანდებსა და ესპანეთთან.

ამერიკის შეერთებული შტატები – განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირესთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა. აშშ-საქართველოს შორის გაფორმებული „სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის“ ფარგლებში, ეფექტიანად ვითარდება ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში. თავდაცვის სფეროში გაღრმავებული თანამშრომლობა (Enhanced Defence Cooperation) სტრატეგიული პარტნიორობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. მის ძირითად მიზანს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის და ნატოსთან თავსებადობის ამაღლება წარმოადგენს. თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის 6 მიმართულებას 2014 წელს დაემატა ორი ახალი: თანამშრომლობა სპეციალური ოპერაციების ძალებისა და სამხედრო დაზვერვის სფეროებში.

2014 წელს განხორციელდა როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტი აშშ-ში, ასევე აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტი საქართველოში. ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ახალ მიმართულებებზე, რაც მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და ნატოში გაწევრიანების პროცესის მხარდაჭერას.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის ფარგლებში აშშ-ის ექსპერტთა ჯგუფების მიერ განხორციელდა სამუშაო ვიზიტები და ტრენინგები თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებების ფარგლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთობლივი სამხედრო სწავლებები.

პრეზიდენტ ობამას ევროპული მხარდაჭერის ინიციატივის დამტკიცების შედეგად, გაიზარდა საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების მოცულობა აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში. გაზრდილი ფინანსური დახმარება მოხმარდება საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიულ სამხედრო განათლების დონის ამაღლებას და თავდაცვითი შესაძლებლობების განმტკიცებას.

აშშ-ს მრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენლები ახორციელებენ დახმარებას სხვადსხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების ფარგლებში. CUBIC-ის მრჩეველთა ჯგუფი საკონსულტაციო დახმარებას უწევს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებულ ძალებს. ჯგუფის წარმომადგენლები ფოკუსირდებიან სტრატეგიულ და თავდაცვის დაგეგმვაზე, პროფესიულ სამხედრო განათლებაზე, ლოგისტიკისა და რესურსების მართვაზე. ასევე, დახმარებას უწევენ ეროვნულ თავდაცვის აკადემიას და კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრს.

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში მუშაობს აშშ-ს მრჩეველთა ჯგუფი - General Dynamics Information Technologies. მისი წევრები ჩართულნი არიან აკადემიის ოთხწლიანი საბაკალავრო კურსის პროგრამების და ზოგადად, აკადემიის სასწავლო პროცესის დახვეწაში.

თავდაცვის გრძელვადიანი შესყიდვების მართვისა და სისტემის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში რეგულარულ ტრენინგებსა და სემინარებს ატარებს აშშ-ის თავდაცვის ინსტიტუციური განვითარების ჯგუფი (Defence Institution Building Team).

თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს დახმარება დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა მკურნალობა-რეაბილიტაციის ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარების მიზნით. არსებული პროექტის ფარგლებში აშშ-ის მხარე აფინანსებს პროთეზირებისა და რეაბილიტაციის ცენტრის მოდერნიზება-აღჭურვას და შესაბამისი სამედიცინო პერსონალის გადამზადებას. პროექტის დასრულება ივარაუდება 2016 წლის ბოლოსთვის.

აშშ-ის საზღვაო ქვეითი ძალები ახორციელებენ საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების გადასროლისწინა მომზადებას ავღანეთში მიმდინარე ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის.

აშშ აქტიურ დახმარებას უწევს საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეითი ასეულის მომზადებას ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში მონაწილეობისათვის.

12.4. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები საზღვარგარეთ

თავდაცვის ატაშეები, სამინისტროს წარმომადგენლები და მეკავშირე ოფიცრები წარმოადგენენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზღვარგარეთის ქვეყნებსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. საქართველოს თავდაცვის ატაშეები და სამინისტროს წარმომადგენლები შედიან საქართველოს შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის შემადგენლობაში და კომპეტენციის ფარგლებში მუშაობენ თავდაცვის საკითხებზე. ამჟამად, საქართველოს თავდაცვის ატაშეები სამინისტროს წარმოადგენენ 37 ქვეყანაში და 4 საერთაშორისო ორგანიზაციაში (ნატო, ევროკავშირი, გაერო, ეუთო).

2014 წელს თავდაცვის სამინისტროში შემუშავდა თავდაცვის ატაშეებისა და სამოქალაქო წარმომადგენლების „სამაგიდო წიგნის" საბოლოო პროექტი. დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების საქმიანობის განხორციელების სახელმძღვანელოს. ამასთან, თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლობების აპარატების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის და სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით, 2014 წელს განხორციელდა შემდეგი ძირითადი ღონისძიებები:

- საზღვარგარეთ წარსაგზავნი თავდაცვის ატაშეების/სამინისტროს წარმომადგენლების და მათი აპარატების თანამშრომლების სპეციალური მოსამზადებელი კურსის შემუშავება;
- თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის როტაციის ახალი სისტემის შემუშავება;
- ცვლილებებიs ინიცირება საქართველოს კანონში „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" (როტაციის სისტემის შეცვლის კუთხით);
- თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის წესის შემუშავება;
- თავდაცვის ატაშეს/წარმომადგენლის ოფისების აღჭურვა დაცული საინფორმაციო კავშირის საშუალებებით;

- სამმართველოს დებულების და თავდაცვის ატაშეს საქმიანობის ზოგადი წესის განმსაზღვრელი დებულების განახლება.
- თავდაცვის ატაშეს/სამინისტროს წარმომადგენლის კანდიდატების შერჩევის და კომპლექსური გრძელვადიანი მომზადების სტრატეგიის შემუშავება.

12.5. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

2014 წელს გაფორმდა შემდეგი მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები:

- შეთანხმება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სლოვაკეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- შეთანხმება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობისათვის სტრუქტურის ჩამოყალიბების თაობაზე“;
- „იარაღით ვაჭრობის ხელშეკრულება“;
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“;
- ნატოს ახალ მისიაში „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ (Resolute Support Mission) საქართველოს მონაწილეობის თაობაზე წერილების გაცვლის გზით დადებული შეთანხმება.

13. მიღებული გამოცდილება

თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს თავდაცვის სისტემის სრულყოფას საქართველოს უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებითა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების ეტაპობრივი განვითარება, გატარებული და მიმდინარე რეფორმები, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვისუნარიანობის ზრდას და ნატოში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას ემსახურება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარება, მათი ჩამოყალიბება თანამედროვე, პროფესიულ შეიარაღებულ ძალებად ხორციელდება არსებული საბიუჯეტო რესურსების გათვალისწინებით. სამინისტროს წლიური საქმიანობის შეფასებისას ხდება კონკრეტული წარმატებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება. აღნიშნული ხელს უწყობს იმ აუცილებელი კორექტივების შეტანას, რომლებიც 2015 წელს დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებას უზრუნველყოფს.

13.1. ნატოს არსებითი პაკეტი

2014 წელს საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. ნატოს უელსის სამიტის გადაწყვეტილების თანახმად, საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას, უსაფრთხოების განმტკიცებასა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას. არსებითი პაკეტის თანამშრომლობის ფორმატში საქართველოს შესაძლებლობა მიეცა ნატოს ოპერაციებისა და წვრთნების დაგეგმვის პროცესში ჩაერთოს ადრეულ ეტაპზე. ამასთან ერთად, არსებითი პაკეტი ითვალისწინებს ნატოს შეკავშირებული ძალების ინიციატივის მხარდაჭერას - საქართველოში ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის შექმნასა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დაარსებას, აგრეთვე სშმ-ის ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარებას. გარდა ამისა, უელსის სამიტზე საქართველო აღიარებულ იქნა ალიანსის ერთ-ერთ ყველაზე თავსებად პარტნიორ სახელმწიფოდ შვედეთთან, ფინეთთან, ავსტრალიასა და იორდანიასთან ერთად და მიწვეულ იქნა „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორების“ ჯგუფში.

13.2. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლება

2014 წელს „კეთილსინდისიერების ამაღლების“ პროგრამის ფარგლებში, პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, თავდაცვის სამინისტროში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით. კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის ნატოს ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2014 წლის მაისში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (№665) დამტკიცდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმა 2014-2015“. გემაში გაწერილი ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიშების მომზადება ხორციელდება კვარტალურად.

2014 წლის მაისის თვეში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნატოს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი „თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში კეთილსინდისიერების განმტკიცების ტრენინგ კურსების მხარდაჭერასთან“ დაკავშირებით, რომლის ფარგლებში რეგულარულად ტარდება კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის რისკების შემცირების ტრენინგები თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთათვის.

2014 წლის მეორე კვარტალში დაიწყო მუშაობა თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციული გარემოს მონიტორინგის საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით. საბჭოს მიზანია თავდაცვის სისტემაში ეფექტიანი ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარება და ანტიკორუფციული გარემოს გასაძლიერებლად წინადადებების შემუშავება, კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელების მონიტორინგი და თავდაცვის სისტემაში კეთილსინდისიერების ამაღლების კუთხით სასწავლო პროგრამების განვითარების თაობაზე წინადადებების შემუშავება.

13.3. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში

2014 წლის წარმატებულ საქმიანობად უნდა შეფასდეს ის კონკრეტული ნაბიჯები რომლებიც გადაიდგა თავდაცვის სექტორში კორუფციული რისკების შემცირების და მასთან ბრძოლის კუთხით. კერძოდ, 2013 წ. 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, თავდაცვის სამინისტრო გახდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს (ანტიკორუფციული საბჭო) წევრი, რომლის მიზანია კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის ხელშეწყობა. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი. უწყებათშორისი თანამშრომლობის ფორმატი მოიცავს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრების პერიოდულ შეხვედრებს და ასევე საბჭოსთან არსებული სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლების შეხვედრებს საბჭოს დებულებით განსაზღვრული ამოცანების ეფექტურად განხორციელების მიზნით.

ანტიკორუფციული საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფორმატში საანგარიშო წლის პერიოდში შემუშავდა „საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის“ და „ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2015-2016“ დოკუმენტის პროექტი, რომლის ერთ-ერთ (მე-12) პრიორიტეტად განისაზღვრა კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში. თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა ზემოაღნიშნული პრიორიტეტის, „კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში“, ქვეპრიორიტეტები, რომელთა მიზანია თავდაცვის სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა, ფინანსური მენეჯმენტისა და შესყიდვების პროცედურის დახვეწა, თავდაცვის სექტორში მომუშავე საჯარო მოხელეებისა და სამხედრო მოსამსახურეებისთვის ცნობიერების ამაღლება და კორუფციის პრევენცია.

13.4. გენდერული თანასწორობის განმტკიცება

2014 წლის კიდევ ერთ მიღწევას სამინისტროში გენდერული თანასწორობის კუთხით გადადგმული ნაბიჯები წარმოდგენს. ამ კუთხით აღსანიშნავია სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება. დოკუმენტის შემუშავებით, თავდაცვის სამინისტრო ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და

შესაძლებლობების რეალიზაციას და დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციას. გარდა ამისა, თავდაცვის სისტემაში გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და მათზე ადეკვატური რეაგირების მიზნით, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში განისაზღვრა გენდერული მრჩევლების პოზიციები და შეიქმნა გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი.

13.5. წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლა

წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლა წარმოადგენდა ნატოს წინაშე აღებულ ვალდებულებას, რომელიც განხორციელდა 2014 წელს. მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასი განისაზღვრება მათი წოდების და არა დაკავებული თანამდებობის საშტატო კატეგორიის შესაბამისად. წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფისთვის თავდაცვის სამინისტროში შემუშავდა „სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივი პრინციპით ანაზღაურებაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა“, რომლის შესრულების შედეგად 2014 წლის 1 სექტემბრიდან მოხდა თანამდებობრივი ანაზღაურების სისტემიდან წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლა. აღნიშნულის შედეგად, გასწორდა წოდებრივ-თანამდებობრივი დისბალანსი. ერთიდაიგივე სამხედრო წოდების სამხედრო მოსამსახურეები იღებენ თანაბარ ანაზღაურებას. ამასთან, სამხედრო მოსამსახურეთა ინტერესი მიმართულია დროის მიხედვით განათლებისა და განვითარებისკენ და არა მაღალი თანამდებობის დაკავებისკენ.

13.6. პროგრამული სტრუქტურა

2014 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული მატერიალური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესების კუთხით. თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩართულობით განისაზღვრა პროგრამული სტრუქტურა 2015-2018 და შემუშავდა და დამტკიცდა თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო.

2014 წელს თავდაცვის სამინისტროში პირველად შემუშავდა თავდაცვის ინტეგრირებული პროგრამა (საპილოტე), რომელიც წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის პროგრამების ერთობლიობას და მიზნად ისახავდა 2015 წლის ბიუჯეტის შემუშავების მხარდაჭერას. დოკუმენტი ასევე ასახავს 2016-2018 წლების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი არ დამტკიცებულა, პროცესში მიღებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს 2016 და შემდგომი წლების ბიუჯეტის დაგეგმვას.

13.7. სირთულეები და გამოწვევები

სამწუხაროდ შეზღუდული ფინანსური რესურსები კვლავ რჩება მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისათვის. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები არასაკმარისია ან არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს და ართულებს ადამიანური რესურსის შენარჩუნებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს პრიორიტეტები, ღონისძიებათა განხორციელების ვადები, მეტი ყურადღება დაეთმოს განსახორციელებელი ღონისძიებების მონიტორინგისა და დაგეგმვის სრულყოფას.

14. სამომავლო ხედვა

საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება და პროფესიული ჯარის ჩამოყალიბება თანმიმდევრული და რთული პროცესია, რომელიც განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

საქართველო გააგრძელებს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით აღებული ვალდებულებების პირნათლად შესრულებას და აქტიურად იქნება ჩართული საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში. ნატოს უელსის სამიტზე საქართველოსთვის მინიჭებული არსებითი პაკეტის დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ნატოსთან თავსებადობის ამაღლებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების კუთხით.

საქართველოს თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაციისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ძალისხმევის მხარდასაჭერად თავდაცვის სამინისტროს 2015-2016 წწ. პრიორიტეტებია:

თავდაცვის მართვის სრულყოფა - თავდაცვის მართვის სრულყოფა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და თანამედროვე, პროფესიული ჯარის ჩამოყალიბებას ემსახურება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტია პროფესიულ სამხედრო სამსახურზე ეტაპობრივი გადასვლა და პერსონალის მართვის ეფექტური მექანიზმების განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას, დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების დახვეწას, უწყებათშორის და საერთაშორისო თანამშრომლობას.

თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება - თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას. მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნება მიმართული ხარისხიან, რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნების ორგანიზებაზე, სადაც გამოყენებული იქნება თანამედროვე თეორიული და ტექნიკური საშუალებები. ყურადღება გამახვილდება განათლების, წვრთნებისა და დოქტრინების სრულყოფაზე, სამხედრო შესაძლებლობების განვითარებაზე, ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებაზე, აგრეთვე ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან. აღნიშნული ემსახურება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და ხელს უწყობს მზადყოფნის დონის შენარჩუნებას.

ნატოსთან თავსებადობის ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობა - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. თავდაცვის სამინისტრომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ნატოსა და ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით და წარმატებით აგრძელებს თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაციას. საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და მომავალშიც გააგრძელებს ევროკავშირისა და ნატოს ეგიდით

წარმოებულ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას. ამასთანავე, საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობის გასაძლიერებლად და საგარეო და უსაფრთხოების პრიორიტეტების მხარდასაჭერად, თავდაცვის სამინისტრო, ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებში, აგრძელებს ინტენსიურ თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან.

დასკვნა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „თეთრი წიგნი 2014“ წარმოადგენს მეორე გამოცემას, რომელიც მოიცავს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის წლიურ ანგარიშს. დოკუმენტი ასახავს საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებულ მდგომარეობას, თავდაცვის სამინისტროს ძირითად პრიორიტეტებს და სამომავლო გეგმებს. დოკუმენტი ხელმისაწვდომია, როგორც ქართველი ისე უცხოელი მკითხველისთვის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესება რესურსებისა და ძალისხმევის მობილიზებას მოითხოვს. თავდაცვის ტრანსფორმაციის ფარგლებში ყურადღება მახვილდება ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებაზე და თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესებაზე. ამასთან, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი დონის შენარჩუნება რჩება სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.